



კახი

კახიაშვილი

KAKHI KAKHIASHVILI

უბატა ნაცვლიშვილი

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები  
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguja Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenaishvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsiauri**

ტექსტი  
პაატა ნაცვლიშვილი

TEXT  
**Paata Natsvlishvili**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქცია  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
ჯემალ კასრაძე, პაატა ნაცვლიშვილი, ავთანდილ გურასაშვილი,  
ალექსანდრე კოტორაშვილი, კახი კახიაშვილის პირადი არქივი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)


PHOTO  
**Jemal Kasradze, Paata Natsvlishvili, Avtandil Gurasashvili,  
Aleksandre Kotorashvili, Archives of Kakhi Kakhiasvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Weightlifting Federation**

ISSN 2233-3096  
ISBN 978-9941-0-4162-4

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



2012





იმ ჩასვლაზე ათენში გინესის რეკორდების წიგნის ორ პოტენციურ კანდიდატს შევხვდი.

საქართველოს ელჩმა საბერძნეთში ალექსანდრე ჩიკვაიძემ მის საყვარელ ჩინურ რესტორანში დამპატიჟა. გინესის რეკორდების ცნობილ წიგნში ასეთი რეკორდი ჯერ არ არის დაფიქსირებული. არა, ქართველი ელჩის მიერ ქართველი ჟურნალისტის ათენის ჩინურ რესტორანში დაპატიჟებას არ ვგულისხმობ. თავად ელჩის ბიოგრაფიაა სარეკორდო.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვა დროს სამი სხვადასხვა სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყოს. ალექსანდრე ჩიკვაიძე სწორედ ასეთი გახლავთ: როგორც საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, იგი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში წარმოადგენდა ჯერ საბჭოთა კავშირს, შემდეგ რუსეთს, და ბოლოს — საქართველოს. თანაც, მან ეს საგინესო რეკორდი სულ რაღაც შვიდ წელიწადში დაამყარა და ამავდროულად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრობაც მოასწრო.

ალექსანდრე ჩიკვაიძე — საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კენიაში.

ალექსანდრე ჩიკვაიძე — საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჰოლანდიაში.

ალექსანდრე ჩიკვაიძე — რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჰოლანდიაში.

ალექსანდრე ჩიკვაიძე — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

ალექსანდრე ჩიკვაიძე — საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთში...

იმ საღამოს ბატონ ელჩთან საუბრისას მრავალ თემას შევეხეთ. მათ შორის, ბუნებრივია, კახი კახიაშვილზეც ვისაუბრეთ — გინესის რეკორდების წიგნის კიდევ ერთ პოტენციურ კანდიდატზე.

კახი დიდი რეკორდსმენია და არა მარტო ძალოსნობაში.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი ყველა დროის ერთადერთი სპორტსმენია მსოფლიოში, რომელიც სხვადასხვა დროს ოთხი სხვადასხვა ქვეყნის ღირსებას იცავდა და არათუ იცავდა, ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონიც გახდა. კახი კახიაშვილს უმაღლესი რანგის სხვადასხვა შეჯიბრებაზე მოპოვებული აქვს ოქროს მედლები საბჭოთა კავშირის, რუსეთის,





საქართველოსა და საბერძნეთის სახელით! თუ ამას დავუმატებთ, რომ ერთი ოლიმპიური ოქრო მან არარსებული ქვეყნის — გაერთიანებული გუნდის სახელითაც მოიპოვა, შეიძლება ითქვას, რომ მისი რეკორდი აბსოლუტურია და ალბათ სამუდამოც!

\* \* \*

წმინდა გიორგის ეკლესია მთელ ათენს ზემოდან გადმოჰყურებს. აქედან აკროპოლისიც კი ხელისგულზე გადაშლილივით მოჩანს. კახი კახიაშვილმა რვასაათიანი დაძაბული ვარჯიშის შემდეგ ორიოდ საათი გამონახა და ჩემს ოჯახთან ერთად წმინდა გიორგის მთაზე მიმიპატიჟა.

მაშინ იგი ჯერ მხოლოდ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონი იყო და სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა.

კვირა საღამო იდგა, ჩვეულებრივ გადატვირთული ათენის ქუჩები შედარებით თავისუფალი იყო და კახიმ მანძილის შემოკლებისა და დროის მოგების მიზნით, რამდენჯერმე დაარღვია მოძრაობის წესები. ძალიან მინდოდა, საგზაო პოლიციას სწორედ ამ დროს შეემჩნია და გაეჩერებინა მისი ახალთახალი BMW, რათა საკუთარი თვალით მენახა ის, რაც არაერთხელ მსმენია თავად კახისაგან თუ სხვათაგან:

კახის მთელი საბერძნეთი იცნობს და დიდ პატივსაც სცემს. ათენის ცენტრში, მოძრაობის განტვირთვის მიზნით, თვის ლუნ რიცხვებში აკრძალულია იმ კერძო მანქანების მოძრაობა, რომელთა ნომრები კენტი ციფრით ბოლოვდება, ხოლო კენტ რიცხვებში — პირიქით. როცა გადაუდებელ საქმეზე მიეჩქარება, კახი არღვევს ამ აკრძალვას, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისი მგზავრობა სხვა პრობლემებთანაა დაკავშირებული. პოლიციელები, რა თქმა უნდა, კენტ რიცხვებში აჩერებენ კახის მანქანას, რომლის ნომერია 5444, და მის მძღოლს ჩვეულებრივ დამრღვევზე მეტ ხანსაც აყოვნებენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჯარიმა გამოუწერონ, არამედ იმიტომ, რომ ავტოგრაფი გამოართვან და რაც შეიძლება, გაიხანგრძლივონ დიდ ჩემპიონთან პირადი კონტაქტის სიამოვნება.

— თუმცა ვთვლი, რომ წესების დარღვევის ყოველი ფაქტი მკაცრად უნდა აღიკვეთოს, ათენი ისეთი ქალაქია, წესების დაურღვევლად ვერსად

დროზე ვერ მიხვალო, — თავი იმართლასავით კახიმ, როცა სასტუმრო „კარაველასა“ და „ჰილტონს“ შორის მანქანა უადგილო ადგილას მოატრიალა. იმ საღამოს, აკი ვთქვი, მან კიდევე რამდენჯერმე დაარღვია მოძრაობის წესები, მაგრამ, საგზაო პოლიციელთა და ჩემდა სამწუხაროდ, მისი მანქანა არავის გაუჩერებია. გზაში კახიმ მიაშობო, რომ ერთი პოლიციელი, საჭესთან დიდი ჩემპიონი რომ დაუნახავს, თავისი უფროსის დასაძახებლად გაქცეულა, არიქა, მოდი, ვინ გაჩვენოო; მეორეს კი კახისთვის უთქვამს, ხელი გამიხმეს, თუ ოდესმე დაგაჯარიმო, გაჩერებით კი მუდამ გაგაჩერებო! იმ საღამოს ის პოლიციელი არ შეგვხვედრია და გაუჩერებლად ავედით წმინდა გიორგის მთაზე.

რაკი ეს ჩემი ნარკვევი ჩემდაუნებურად მოძრაობის წესების დარღვევით დავინწყე, ბარემ იმასაც აქვე ვიტყვი, რომ ერთხელ კახი თურმე თბილისშიც გაუჩერებია საგზაო პოლიციელს. მაშინ უკვე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი იყო. თუ გიცნო-მეთქი, რომ ვკითხე, — მე მიცნო თუ არა, არ ვიცი, ხუთლარიანი კი ნამდვილად იცნო და სანამ არ მივეცი, არც ჯარიმას მინერდა და არც საბუთებს მიბრუნებდა, მერე კი კმაყოფილები დავშორდით ერთმანეთსო, მიპასუხა და მანქანა გააჩერა.

წმინდა გიორგის მთაზე შედარებით გრილოდა. გალავანში მოქცეულ ღია რესტორანში თავისუფალი მაგიდა არ იყო, მაგრამ კახი რომ დაინახეს, ადგილიც ხელად გააჩინეს და თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდაც. ყველა ჩვენ გვიყურებდა, უფრო ზუსტად – ყველა კახის უყურებდა. რაც უფრო ბინდდებოდა, ჩვენს ქვემოთ გადაშლილ ათენს მით უფრო ემატებოდა სინათლე. ჩვენ მაგიდას მივუსხედით და სამი თვის წინ დაწყებული ინტერვიუ თუ საუბარი გავაგრძელებთ.

სამი თვის წინ ჩვენ ისევ ათენში შევხვდით ერთმანეთს, როცა ერთ მშვენიერ დღეს ათენის მთავარ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ცნობილი ვიოლონჩელისტის ნატალია გუტმანის კონცერტი. ამ კონცერტს მე და კახი ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორის ავთანდილ მიქაბერიძის მიწვევით დავესწარით. კონცერტამდე, შესვენებისას და კონცერტის შემდეგ მე და კახიმ ბევრი ვისაუბრეთ მის მიერ დღემდე განვლილ სპორტულ გზაზე, დიდ წარმატებებზე და არანაკლებ დიდ პრობლემებზე, მის იმდროინდელ ყოფასა და სამომავლო გეგმებზე.





\* \* \*


შეიძლება თამამად ითქვას, რომ მიღწეული შედეგების მიხედვით სამგზის ოლიმპიური, სამგზის მსოფლიო და ოთხგზის ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდსმენი კახი კახიაშვილი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენია ჩვენს თანამემამულეთაგან.

თუმცა, რაგინდ გვეამაყებოდეს, და ჩვენ მართლა გვეამაყება, კახიაშვილის წარმატებები, დასანანია, რომ მის მიერ მოპოვებული სპორტული ნადავლის დიდი ნაწილი, ოლიმპიადებზე იყო ეს, მსოფლიო პირველობებსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე, საბერძნეთმა მიითვალა და არა საქართველომ. თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი მოჰყვა კახი კახიაშვილის საბერძნეთში გადასვლას, რაც მერეც, კახის ყოველი ახალი გამარჯვების შემდეგ, ახალი ძალით იფეთქებდა ხოლმე. ზოგიერთებმა ლამის ერისა და ქვეყნის მოღალატედაც შერაცხეს იგი. საქმეში ჩაუხედავმა ერთმა ჩემმა კოლეგამ კი ქართველ სპორტსმენტა მასობრივი მიგრაცია და გამამლუქება მთლიანად მას დააბრალა. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. სპორტსმენტა მიგრაცია თანამედროვე გლობალიზაციის შედეგია და არა მარტო საქართველოს ან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მრავალ სხვა ქვეყანას შეეხო, მათ შორის ისეთებსაც, როგორცაა, ვთქვათ, საფრანგეთი, გერმანია თუ ესპანეთი.


რაც შეეხება კახის გადაწყვეტილებას, რომელიც მან ამ საყოველთაო პროცესის გარიჟრაჟზე მიიღო, იგი არც იოლი ყოფილა, არც ნაჩქარევი და არც უმტკივნეულო.


— მე არჩევანი ფაქტიურად არ მქონდა, — ამბობს კახი, — ან თავი უნდა დამენებებინა სპორტისთვის, ან ჩემს თავში სპორტსმენი გადამერჩინა და უცხოეთში წავსულიყავი. მაღლობა ღმერთს, რომ ეს „უცხოეთი“ სწორედ საბერძნეთი აღმოჩნდა, სადაც უყვართ სპორტი და კერძოდ — ძალოსნობა, იციან მისი ფასი, და რომელიც ახლოს დგას საქართველოსთან ამ ორი ქვეყნის არსებობის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე; მარტო ის რად ღირს, რომ საბერძნეთიც და საქართველოც მართლმადიდებელი ქვეყნებია. ძალიან ბევრი ვიფიქრე, სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი. საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, მაშინ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მე მაინც ვერაფერს შევმატებდი ჩემს სამშობლოს, როგორც სპორტსმენი. არადა, სპორტიდან საერთოდ წასვლაც ნაადრევად მიმაჩნდა, ვგრძნობდი, რომ ჯერ კიდევ შემეძლო დიდი

2 წლის კახი კახიაშვილი  
მშობლებთან ერთად



და-ძმა მანანა და კახი  
კახიაშვილები





წარმატებებისათვის მიმელნია. რა სჯობდა და რა სჯობია საქართველოსთვის — დავლუპულიყავი, როგორც სპორტსმენი, თუ თუნდაც სხვა ქვეყნის სახელით კვლავ მომეგო ოლიმპიადა, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატები? საქართველოს რომელიმე ძალოსანი რომ დამემარცხებინა უშუალო ბრძოლაში, ან გვარი გამომეცვალა, კიდევ შეიძლება წყენოდა ვინმეს, მაგრამ ასე ხომ არ მომხდარა...

ჩანს, კახი მერეც ბევრს ფიქრობდა თავის იმ გადაწყვეტილებაზე, მერეც მწვავედ განიცდიდა სამშობლოსგან მოშორებას და ყველანაირად ცდილობს, დამარწმუნოს: რომ არა საქართველოში იმ დროს შექმნილი ვითარება, არსად წამსვლელი არ იყო. მე ამაში ისედაც დარწმუნებული ვარ და მკითხველიც მინდა დავარწმუნო. კახი კახიაშვილი პირნათელია საკუთარი თავის და საკუთარი ქვეყნის წინაშე. მართლაც, რა ქნას სპორტსმენმა, თუ ის რამდენიმე წელიწადი, რომელიც ქვეყნისა და ისტორიისათვის თვალის ერთი დახამხამებაა, მთელ მის სპორტულ კარიერას იტევს?

\* \* \*

— თუ სპორტულ კარიერაში სულ პირველ ნაბიჯებსაც ჩამითვლით, იგი ძალოსნობით არ დანყებულა, — მეუბნება კახი, — ჯერ ფეხბურთში ვცადე ბედი, მერე ჭიდაობასა და ტანვარჯიშში. ჭადრაკსაც ვთამაშობდი. არც ერთში არ მქონია არც ინტერესი და არც პერსპექტივა. მაშინ ცხინვალში ვცხოვრობდი. ძალოსნობაში რომ მივედი, 40 კილოგრამს ვინონიდი და 22 კილოგრამი ძლივეს ავნიე. მაშინ 12 წლისა ვიყავი. არ ვიცი, რა დაინახა ჩემში, მაგრამ ვანო გრიქუროვმა გამომარჩია და მას შემდეგ თითქმის ყველა ჩემი წარმატება მის სახელთანაა დაკავშირებული. 13 წელი ერთად ვიყავით. 21 წლამდე ცხინვალში ვცხოვრობდი, სპორტის ოსტატობასაც იქ მივალნიე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობასაც და დამსახურებული ოსტატიც მაშინ გავხდი. პირველსავე სერიოზულ ტურნირზე, 1983-ში, ხელი მომტყდა. მაშინ დედაჩემი პირველად მოვიდა ჩემი გამოსვლის სანახავად. ის იყო და ის: დედაჩემი სპორტულ დარბაზში აღარ მოსულა. მხოლოდ ვიდეოჩანაწერებს უყურებს ხოლმე. მას მერე თითუბიც მოვიტყხე, ფეხიც და დედაჩემმა რამდენჯერმე მითხრა, დაანებე თავი, სანამ კისერიც არ მოგიტყხიაო! თუმცა ჩემი წარმატებები მუდამ ძალიან

უხაროდა. 1987 წელს, 17 წლისა, საქართველოს მთავარ გუნდში მოგხვდი. იმავე წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც ჩამრიცხეს. ასე მატარა, მატარა ვანო გრიქუროვმა დედაჩემის ხუმრობანარევი თხოვნის მიუხედავად და ბარსელონაში ოლიმპიურ ჩემპიონობამდე მიმიყვანა...

თუმცა კახის ბარსელონამდეც შეეძლო ოლიმპიური ოქროს მედლის მოგება: სეულში ისრაელ არსამაკოვის საჩემპიონო შედეგს (167 და 210) კახი მაშინ ყველა ვარჯიშზე ძლევდა, მაგრამ იგი სეულში არ წაუყვანიათ, თორემ ვინ იცის, დღეს იქნებ კახი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონიც ყოფილიყო. სეულამდე ათენში გამართულ ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე კახი ატაცში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, აკერაში კი ნულოვანი შეფასება მიიღო და ნაკრებში მოხვედრის ბუნდოვანი იმედით, წონის შეცვლაზე დაინყო ზრუნვა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ოლიმპიური ოცნება კიდევ ოთხი წლით ოცნებადვე დარჩა.


ხოლო ბარსელონაში მე პირადად გახლდით კახი კახიაშვილის პირველი ოლიმპიური გამარჯვების მოწმე.

90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოქროს მედლის ძირითად პრეტენდენტებად გაერთიანებული გუნდის ორი წევრი — უზბეკეთის წარმომადგენელი სერგეი სირცოვი და საქართველოს წარმომადგენელი კახი კახიაშვილი ითვლებოდნენ. წინა წელს სირცოვი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, კახიმ ზედ ოლიმპიადის წინ ესენგეს ღია პირველობა მოიგო. თუმცა ბარსელონაში კახი ასპარეზობის დაწყებამდე დაინაურდა, რადგან მისი პირადი წონა (89,25) 200 გრამით ნაკლები იყო სირცოვის წონაზე, სპეციალისტები და გაერთიანებული გუნდის ხელმძღვანელები სირცოვს აძლევდნენ უპირატესობას და საჩემპიონოდაც მას ამზადებდნენ.

გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენს ვასილი ალექსეევს ეკუთვნოდა.

— მეტისმეტად ფრთხილი კაცია ვასილი ალექსეევი, — ეს იყო ერთადერთი რაც ოლიმპიადის შემდეგ კახი კახიაშვილს ნაკრების მთავარ მწვრთნელზე ათქმევინეს ჟურნალისტებმა.

მართლაც, თავიდან სიტუაცია სირცოვის სასარგებლოდ განვითარდა: კახიმ ისე დაამთავრა სამივე ცდა ატაცში, რომ სირცოვი ჯერ არც კი იყო ფიტარნაგზე გამოსული. ატაცი მისი კოზირია და ასპარეზობა ამ მოძრაობაში სწო-



ვანო გრიჭუაშვილი:  
 „ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. ერთმა მათგანმა მიიქცია ჩემი ყურადღება. თითქოს ზანტი და მოუქნელი იყო, რაღაც უხალისოდ მოძრაობდა, მაგრამ ბურთი რომ მიანოდეს, მთლიანად გარდაიქმნა, მოხერხებულად აუარა გვერდი ჯერ ერთს, მერე მეორეს და გოლიც გაიტანა. ამის შემდეგ ისევ მოეშვა და მოდუნდა, თითქოს არაფერი მოხდარიყო. ამაში მისი სასწაული ნერვული სისტემა დაგინახე, რომელიც ძალიან უნდა გამოდგომოდა სპორტში და კერძოდ — ძალოსნობაში.“

რედ იმ წონით დაიწყო, რომლითაც კახიმ დაამთავრა — 177,5. შემდეგ ცდებზე მან ჯერ 185 კილოგრამი დასძლია, შემდეგ — 190, რითაც ოლიმპიური რეკორდი დაამყარა, მთელი 12,5 კილოგრამით გაუსწრო კახის და მეორე მოძრაობის წინ იგი ურთულესი ამოცანის წინაშე დააყენა: საჩემპიონოდ აკვრაში მას, სულ ცოტა, მსოფლიო რეკორდი უნდა გაემეორებინა. ვარჯიშზე კახის აუწევია 235 კილოგრამი, მაგრამ ეს ვარჯიში არ არის, შენთვის სასურველ წონამდე უნდა მიგიშვან, წონას კი აქ უფროსი მწვრთნელი უკვეთავს; ხოლო ლეგენდარულ ვასილი ალექსეევს, გასაგები მიზეზების გამო, სირცოვის გამარჯვება ურჩევნია. კახის უნდოდა, ატაცი 175 კილოგრამით დაეწყო, მაგრამ ალექსეევმა 170-ით დააწყებინა. ასე რომ, ოქროს მედლის ბედი ამ წონაში თითქმის გადაწყვეტილია. ისევე როგორც ატაცში სირცოვი, აკვრაში კახიაშვილი მაშინ გამოვიდა ფიცარნაგზე, როცა მისმა მეტოქემ გამოსვლა დაამთავრა. სირცოვი 222,5 კილოგრამს ვერ ასცდა, ორჭიდის ჯამში 412,5 დააგროვა და მყურებლებში გადაინაცვლა. ამ დროს ტელერეპორტაჟის წამყვანი გიორგი სარქისიანცი თურმე უკვე ულოცავდა სირცოვს გამარჯვებას. კახიაშვილმა 220-ით დაიწყო (თუ დააწყებინეს), შემდეგ 225 კილოგრამიც ასწია, მაგრამ ორჭიდში სირცოვის შედეგამდე მთელი 10 კილოგრამი აკლია. დარჩა ერთადერთი ცდა. კახიაშვილს ვერცხლის მედალი გარანტირებული აქვს — მესამე ადგილზე მყოფმა პოლონელმა სერგიუმ ვოლჩანიეცკიმ „მხოლოდ“ 392,5 კილოგრამი დააგროვა, გუნდის ინტერესები არაფრით ზარალდება და ალექსეევსაც არავითარი არგუმენტი აღარ აქვს, არ მიუშვას კახიაშვილი სარეკორდო წონამდე. ტაბლოზე ინთება ციფრები: „235“. ეს ევროპისა და მსოფლიო რეკორდია, რომელიც ანატოლი ხრაპატის ეკუთვნის. კახიაშვილის საუკეთესო შედეგი 232,5 კილოგრამია. კახის მაშინ, რა თქმა უნდა, არავითარ რეკორდზე არ უფიქრია — იგი იმ წონას შეუკვებავდა, რაც სირცოვის დასამარცხებლად იქნებოდა საჭირო. შტანგას რომ უახლოვდებოდა, კახის მღელვარება მოეთოკა და გარეგნულად აბსოლუტურად მშვიდი იყო. მას დასაკარგი არაფერი ჰქონდა — თუ ასწევს, მსოფლიო რეკორდის თანამფლობელობას თავი დავანებოთ, იგი ოლიმპიური ჩემპიონი ხდება, თუ არა და, ოლიმპიური ვერცხლი ისედაც მისია.

— რას ფიქრობდით შენ და გრიქუროვი, როცა ეს წონა მოითხოვეთ? — ჰკითხავს თბილისში დაბრუნებულ ჩემპიონს გაზეთ „ლელოს“ თანამშრომელი, ცნობილი სპორტული ჟურნალისტი ოთარ გელაშვილი.

— მაშინ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, არ გამენბილებინა ათასობით გულშემატკივარი საქართველოში. ამან საოცარი რწმენა შემმატა. ამას ისიც დაემატა, რომ დარბაზიდან მესმოდა ერთი მუჭა ქართველი ჟურნალისტების გამამბნევებელი შეძახილები. მათი სახეები არასოდეს დამავიწყდება...

კახი აქ ჩვენზე ლაპარაკობს, ჩვენ ვიყავით ის „ერთი მუჭა ქართველი ჟურნალისტები“ — თამრიკო ბალავაძე, ელგუჯა ბერიშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე და მე. ქართველების გარდა არც არავინ გულშემატკივრობდა კახის. გაერთიანებულ გუნდს ოქროს მედალიც უკვე გარანტირებული ჰქონდა და ვერცხლისაც.

„ასწევს!“ — კიდევ ერთხელ გავიმეორე ჩემთვის იმ დღეს უკვე მერამდენედ გამეორებული სიტყვა, როცა კახი შტანგას მიუახლოვდა.

ისეთი დაძაბული ვიყავი, თითქოს ის შტანგა მე უნდა ამეწია!

„ასწევს!“ — უკვე ხმამაღლა ვთქვი, როცა კახიმ შტანგას თითები მოარგო, ტერფებით ფიცარნაგი „მოსინჯა“ და შტანგა მსუბუქად აიტანა მკერდზე.

„სწორედ ამ დროს მივხვდი, რომ გამარჯვება კახის დარჩებოდა! იგი ღირსეული ჩემპიონია!“ — აღიარა სირცოვმა ასპარეზობის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.


იმ სამიოდე წამმა, რომლის განმავლობაში შტანგა კახის ზეაღმართულ ხელებზე იყო გაყინული, ემოციათა მთელი სპექტრი ჩაიტია: სირცოვის იმედგაცრუება, ალექსეევის გაორება, გრიქუროვის სიხარული, გულშემატკივართა აღტაცება, ქართველთა აღფრთოვანება და თავად კახის უკვე მოუთოკავი მღელვარება.

არის ამ მომენტის ამსახველი მშვენიერი ფოტო: კახი იღიმება, თითქოს 235 კილოგრამი კი არა, საჰაერო ბუშტი ეჭიროს ზეაღმართული ხელებით. უკანა პლანზე გრიქუროვი ჩანს, რომელსაც შტანგისტივით აღუმართავს მომუშტული ხელები, შტანგადა აკლია...

კახიმ ორჭიდში 412 კილოგრამი დააგროვა, იმდენივე, რამდენიც სირცოვმა და ნაკლები პირადი წონის წყალობით ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!

კახიაშვილ-სირცოვის ბარსელონური ორთაბრძოლა ძალიან ჰგავდა მათ ბოლო დაპირისპირებას ესენგეს პირველობაზე, რომელიც ოლიმპიადამდე რამდენიმე კვირით ადრე შედგა სანკტ-პეტერბურგში. მაშინ სირცოვმა, რომელიც მუდამ ძლიერი იყო ატაცში, ეს მოძრაობა მთელი 10 კილოგრამით მოუგო კახის





კახი კახიაშვილი:  
„ჩემი სპორტული კარიერა ძალოსნობით არ დაწყებულა. ჯერ ფეხბურთში ვცაადე ბედი, მერე ჭიდაობასა და ტანვარჯიშში. ჭადრაკსაც ვთამაშობდი. არც ერთში არ მქონია არც ინტერესი და არც პერსპექტივა. მაშინ ცხინვალში ვცხოვრობდი. ძალოსნობაში რომ მივედი, 40 კილოგრამს ვინონიდი და 22 კილოგრამი ძლივს ავნიე.“

და მოვლენები ისე განვითარდა, რომ გამარჯვებისათვის კახის აკვრაში 232,5 კგ უნდა დაეძლია. ამ შემთხვევაში მას და სირცოვს ორჭიდის ჯამში ერთნაირი შედეგი ექნებოდათ და რაკი კახიაშვილი 200 გრამით მსუბუქი იყო, პირველი ადგილი მას დარჩებოდა. ასეც მოხდა და სწორედ ამ გამარჯვების წყალობით კახი კახიაშვილმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი გაერთიანებულ გუნდში, თუმცა პირადი ამბიციების გამო უფროსი მწვრთნელი ვასილი ალექსეევი უპირატესობას სირცოვს ანიჭებდა და საჩემპიონოდაც უფრო ის ეიმედებოდა.

მაგრამ კახი კახიაშვილმა და მისმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა ყველაფერი „არიეს“.

(სხვათა შორის, თავისი ბარსელონური შედეგით კახიაშვილი მომდევნო წონით კატეგორიაშიც გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი: 100-კილოიანმა ვიქტორ ტრეგუბოვმა, რომელმაც ამ წონაში ოლიმპიური ოქრო მოიგო, მხოლოდ 410 კილოგრამი დასძლია.)

ეს იყო ენით აუწერელი სიხარული. ძალოსნობის დარბაზში მსხდომი რამდენიმე ქართველი ვერც ადგილს ვპოულობდით და ვერც სიტყვებს, პატარა ბიჭებივით ვხტოდით და დიდი ველურებივით ვბლაოდით.

ამ გადარეული სიხარულის მიზეზი და შემოქმედი კი ყველაზე მშვიდად იყო.

— მაშინ გამარჯვებას ჩემში დიდი ემოციები არ გამოუწვევია. მერე კი, იცოცხლე, ის ოლიმპიური მედალი მინდოდა, სულ მკერდით მეტარებინა. რა თქმა უნდა, გამიხარდა, მაგრამ რატომღაც ისე მივიღე, თითქოს ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდა. როცა ვანო მასწავლებელი ამოიჭრა ფიცარნაგზე და სიხარულით გადაამეხვია, მაშინ ვიგრძენი, რაც მოხდა. დაჯილდოებაზე სულ სხვა იყო. როცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შევდექი, ფლაგშტოკზე საქართველოს დროშის აღმართვა დაინწყო და დარბაზში ჩვენი ქვეყნის ჰიმნი გაისმა, სხეულში ჟრუანტელმა დამიარა...

კვარცხლბეკზე შედგომამდე კი ერთი საინტერესო რამ მოხდა, თუმცა ცოტა შორიდან მომიხდება დაწყება.

იმ წლის მარტში ლოზანაში გაიმართა საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელთა შეხვედრა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან ხუან ანტონიო სამარანჩთან. საქართველოს დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში ჩემთან ერთად ემზარ ზენაიშვილი, კახი ასათიანი და დავით კაკაბაძე შედიოდ-

ნენ, მე ვხელმძღვანელობდი, როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. იმ შეხვედრაზე საქართველოს დელეგაცია დამოუკიდებელი გუნდით გამოსვლას ითხოვდა, მაგრამ, უკრაინასთან წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, მხარი არც ერთმა ყოფილმა რესპუბლიკამ არ დაგვიჭირა და სანადელს ვერ მივალწიეთ. ბოლოს გადაწყდა, რომ თორმეტი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სპორტსმენები არარსებული ქვეყნის სახელით — გაერთიანებულ გუნდად გამოვიდოდნენ ოლიმპიადაზე და პირად სახეობებში გამარჯვების შემთხვევებში აღიმართებოდა იმ ქვეყნის დროშა და აჟღერდებოდა იმ ქვეყნის ჰიმნი, რომლის წარმომადგენელიც იქნებოდა გაერთიანებული გუნდის წევრი გამარჯვებული ესა თუ ის სპორტსმენი.


და აი, ბარსელონაში კახი კახიაშვილი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. გამოაცხადეს მისი გვარი და დარბაზში მყოფი ქართველების გულის გასახეთქად, რუსეთიო, დააყოლეს; თანაც, ვხედავთ, რუსეთის დროშას ამზადებენ ასანევადად. უნდა გენახათ, რა ამბავი ავტეხეთ! ბიჭებივით ხტუნვა და ველურებივით ბლავილი მოგონილია. ერთი ნუთით ყველა დაიბნა — ორგანიზატორებიც, მედროშეებიც, მაყურებელიც და თავად კახიც, რომელიც ტაბლოსთან და ფლაგმტოკთან ზურგიით იდგა და ვერ ხედავდა ვერც წარწერას ტაბლოზე და მისი გამარჯვების აღსანიშნავად გამზადებულ რუსეთის დროშას. კახიმ შეუძახა, ასათიანმა, უკან მიიხედე, რა ხდებაო და ისიც სწრაფად მოეგო გონს, ორგანიზატორებისკენ მიტრიალდა და თავის სავარჯიშო ფორმაზე გამოსახულ წარწერაზე მიუთითა.

ხოლო ორგანიზატორები გვარიანად იყვნენ შეშფოთებულები: წინააღმდეგს ესენგეს გუნდის წარმომადგენელმა იბრაჰიმ სამადოვმა, რომელიც უკმაყოფილო იყო მის მიერ დაკავებული მესამე ადგილით, ოლიმპიური მედალი არ მიიღო და დაჯილდოების ცერემონიალი დატოვა (რაც შემდეგ ორწლიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა). მაგრამ ეს გამარჯვებული რაღას აპროტესტებდა, მასპინძლებს ვერ გაეგოთ. ვერც ვანო გრიქუროვმა გააგებინა რამე. გუშინ სამადოვი არ ავიდა კვარცხლბეკზე, დღეს ეს არ ადის!


მაგრამ ისევ ორგანიზატორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მალე მოძებნეს საქართველოს დროშა და საქართველოს ჰიმნი.

— ჩემთვის გასაგებია, რატომაც მოხდა ასე, — მითხრა კახიმ, როცა ამ გაუგებრობის კომენტარი ვთხოვე, — საქმე ის არის, რომ მე წინა წელს, 1991-ში

კახი კახიაშვილზე პირველად 1987 წელს ალაპარაკდნენ. ჯერ ცხინვალის გაზეთებში გამოჩნდა მისი სახელი, მერე — თბილისურში, რესპუბლიკურში. ის კი არა, 18 წლის სპორტსმენი საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენის კანდიდატადც დაასახელეს.



დავტოვე საქართველო, სადაც სპორტისათვის არავის ეცალა. ცხინვალიდან რომ მოვდიოდი, თან ტყვიების ზუზუნი მომდევდა. ერთ ხანს თბილისში, ნათესავთან შევაფარე თავი, მერე კი, რაკი დავრწმუნდი, რომ სასიკეთო არაფერი იყო მოსალოდნელი, რომ თბილისში წვრთნის პირობები კიდევ კარგა ხანს არ მომეცემოდა, საქართველოს სპორტკომიტეტთან შეთანხმებით, როსტოვში წავედი, რომ რუსეთის სახელით მაინც გამოვსულიყავი მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზე. სავალდებულო სამხედრო სამსახურის დროს როსტოვზე ვიყავი მინერული და იქაურ სპორტულ კლუბს ვეკუთვნოდი. ის ევროპა სწორედ რუსეთის სახელით მოვიგე. ოლიმპიადაზე კი იმ ქვეყნის ღირსება უნდა დაცივა, რომლის სახელსაც ბოლო ორი წლის მანძილზე იცავდი. რაკი მე 1991 წელს რუსეთის სახელით მოვიგე ევროპის პირველობა, რუსეთის წარმომადგენლად ჩამთვალეს, თუმცა მე ბარსელონაში საქართველოს სახელით ვიყავი წასული. 1992 წლის გაზაფხულზე, როგორც კი გაირკვა, რომ ოლიმპიადაზე საქართველოც გააგზავნიდა თავის სპორტულ დელეგაციას, მე და ჩემმა მწვრთნელმა ულაპარაკოდ გადავწყვიტეთ, სწორედ საქართველოს სახელით გამოვსულიყავი ბარსელონაში. საქართველოს სპორტის ხელმძღვანელობამ ჩვენი თხოვნა საიმოვნებით მიიღო, მაგრამ, ისეთი არეული დრო იყო, რომ, როგორც ჩანს, საბუთები წესიერად ვერ გაფორმდა. ბარსელონაში ჩასულმა აკრედიტაცია რომ გავია-



*1987 წელს კახი კახიაშვილმა თავისი ასაკის ძალოსანთა ასპარეზობაში ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა და ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებმა იგი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ძალოსნად აღიარეს.*

რე, ჩემს ბარათზე „რუსეთი“ ეწერა; ეს იმ წუთში ვუთხარი ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებს კახი ასათიანს, ჯანო ბაგრატიონსა და ემზარ ზენაიშვილს, მაგრამ მათ დამამშვიდეს, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შენ ოღონდ მედალი აიღე და მაგას ჩვენ მოვავგარებთო. სწორედ ამიტომ მოხდა დაჯილდოებისას ის ამბავი. კიდევ კარგი, ოლიმპიადის საბოლოო შედეგებში ჩემი გვარის გასწვრივ „გაერთიანებულ გუნდთან“ ერთად „საქართველო“ წერია.

ოლიმპიადის შემდეგ კახი კახიაშვილი ძალითა და ოპტიმიზმით აღსავეს დაბრუნდა საქართველოში. იგი ბარსელონის თამაშების ორ სხვა ჩემპიონთან ერთად ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. თუმცა ეს ორდენი რამდენიმენლიანი დაგვიანებით მიიღო და თანაც დიდი დავიდარაბის შემდეგ.

— როდესაც ჩემი ორდენი მოვიკითხე, აღმოჩნდა, რომ იგი კარგა ხნის გაცემული იყო და ჩემი ხელმოწერაც კი მაჩვენეს, აგიღია და რალა გინდაო! როგორც იქნა, დაუშტკიცე, რომ ხელმოწერა ჩემი არ იყო და ვერც ორდენს მივიღებდი, რადგან მე რომ დამაჯილდოვეს, ორდენი ფიზიკურად არ არსებობდა. კიდევ კარგი, დაჯილდოების ვიდუოფირი დღესაც შენახული მაქვს, სადაც საქართველოს მაშინდელი მთავრობის ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი ბოდიშს გვიხდის, რომ ორდენი ჯერ არ არის მზად და გვპირდება, როგორც კი

დავამზადებთ, მაშინვე მოგართმევთო. არ ვიცი, ამ ვიდეოფირმა გაჭრა, არ ვიცი, სხვა რამემ, როგორც იქნა, მივიღე ჩემი ორდენი, ან შეიძლება სულაც მისი დუბლიკატი. არ არის გამორიცხული, რომ ჩემთვის განკუთვნილი, ჩემი ყალბი ხელმოწერით გაცემული ორდენი დღეს რომელიმე კერძო კოლექციას ამშვენებდეს საქართველოსა თუ უცხოეთში...

ბარსელონის შემდეგ კახი კახიაშვილმა ახალ ასპარეზობებზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ ქვეყნის მდგომარეობას გაუარესება თუ არა, გაუმჯობესება არაფრით ეტყობოდა. არათუ ვარჯიში, ცხოვრებაც ჭირდა. ოლიმპიურ ჩემპიონს საკუთარი ჭერიც არ ჰქონდა თავის სამშობლოში. კი, იყო მამა-პაპისეული სახლები ცხინვალშიც და მეღვრეკისშიც, მაგრამ მაშინ იქ ცხოვრება შეუძლებელი გახლდათ. ცნობილი მოვლენების დროს პაპამისმა თავისი ოჯახური რელიქვიები ცხინვალს გამოარიდა და მეღვრეკისში გადაიტანა, თუმცა ვაის გამოქცეული ვუის შეეყარა — აქ იგი პირნიმინდად გაქურდეს და კვალის დაფარვის მიზნით სახლიც გადაწვეს. მაშინ კახი უკვე როსტოვში იყო წასული.

— ცხინვალს მე დღესაც ჩემს მშობლიურ ქალაქად ვთვლი. პაპაჩემი და მამაჩემი კვლავაც იქ ცხოვრობენ, — მითხრა მაშინ კახიმ, — მაგრამ იმხანად ცხინვალში ჩვენი დარჩენა შეუძლებელი იყო. თბილისში, ბიძაჩემთან ვცხოვრობდით. აბა, ჩვენ რა უნდა გვქონოდა: მამა მასწავლებელია, დედა — ექთანი. და მყავს, ჩემზე სამი წლით უმცროსი. ვიყავით ასე უბინაოდ. სახელმწიფომ თითქოს იზრუნა, ბინის ორდერიც მივიღეთ, მაგრამ ის ვითომ ჩვენი ბინა ლტოლვილებს ჰქონდათ დაკავებული. ძალას ხომ არ ვიხმარდი?! ოლიმპიურმა კომიტეტმა მოინდომა ძალიან, სპონსორიც გამონახეს და ოროთახიანი ბინა მიყიდეს. დღემდე მადლობელი ვარ ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელი პრეზიდენტის ნონა გაფრინდაშვილისა, რომელმაც მურმან ომანიძესთან მიშუამდგომლა და ჩემი ბინის საყიდლად თანხა გამოსთხოვა.

მაგრამ მარტო ბინა არ იყო საკმარისი ახალი წარმატებების მისაღწევად. ჩემპიონს სავარჯიშო პირობები და საარსებო საშუალება ესაჭიროებოდა. ასეთი ვითარების მიუხედავად, კახი კახიაშვილმა როგორღაც მოახერხა ფორმის შენარჩუნება და სოფიაში ევროპის ჩემპიონატი მოიგო; მაგრამ მერე რამდენადმე ჩამორჩა: მეორე ადგილები მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე, რაც სხვისთვის შეიძლება დიდი გამარჯვება ყოფილიყო, კახი კახიაშვილისათვის წარუმატებლობა გახლდათ. ამას დაერთო ისიც, რომ მსოფლიო რეკორდის

დამყარების მიუხედავად, თესალონიკეუმი გამართულ მსოფლიო თასზე, სადაც ყველა კატეგორიის სპორტსმენები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ყველა ყველას წინააღმდეგ გამოდის და საბოლოო გამარჯვებული კოეფიციენტებით ვლინდება, კახის კურლოვიჩმა აჯობა.

სწორედ მაშინ დადგა მის წინაშე მთელი სიმწვავეთ წასვლის დილემა:  
ან სპორტიდან ან სამშობლოდან.

— თქვენი აზრით, როგორია საქართველოში ძალოსნობის პერსპექტივა, გვეყოფა ერთი ოლიმპიური ჩემპიონი? — ჰკითხა ოლიმპიადის შემდეგ კახი კახიაშვილს ოთარ გელაშვილმა.

— არ გადავჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ქვეყნის ზოგიერთ რაიონში განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდობაა. წვრთნის სათანადო პირობები კი თბილისშიც არ გავგაჩნია. ყველაფერი გვაკლია: თანამედროვე დარბაზები, ინვენტარი, შხაპი, ზამთრობით გათბობა... ყველაფერს რა ჩამოთვლის. არ გვივარგა წვრთნის ორგანიზაცია. თუ ყველაფერი ეს გამოსწორდება, 3-4 ძლიერი ათლეტი ყოველთვის გვეყოლება. ნუ მინყენენ და „სპეციალისტების“ ერთი ნაწილიც ვერ ამართლებს ნდობას...

ან სპორტიდან ან სამშობლოდან — ასე იდგა დილემა.

ცნობილ ჟურნალისტთან დავით კაკაბაძესთან საუბარში, რომელიც ოლიმპიურ ათენში შედგა 2004 წელს, ვანო გრიჭუროვმა ასე გაიხსენა ის დრო:

— დღევანდელი სიტუაცია რომ ყოფილიყო საქართველოში, მე კატეგორიულ უარზე დავგებოდი, რომ კახი კახიაშვილი წასულიყო. მაგრამ მაშინ სხვა ვითარება იყო. მე მაშინ ვურჩიე, რომ სჯობდა, დიდი სპორტსმენის კარიერა გაეგრძელებინა, ვიდრე ჩემს გვერდით დარჩენილიყო და სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო უახლოესი წლების მანძილზე. ეს ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო. ჩემი თანხმობა რომ არა, კახიაშვილი იმ ნაბიჯს არ გადადგამდა. მე ვაღიარებ, რომ ხელი შევუწყე კახიაშვილს წასვლაში, მაგრამ იმ მომენტში სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი.

ან სპორტიდან, ან სამშობლოდან...

მან სამშობლოდან წასვლა ირჩია, რადგან სპორტიდან სამუდამოდ წასვლით ვერც სპორტს შემატებდა რამეს და ვერც თავის სამშობლოს, სამშობლოდან წასვლით კი მისი შესაძლო სპორტული წარმატებები გარკვეულწილად ისევ მის სამშობლოს დაუბრუნდებოდა სახელად და დიდებად.



კაბი კაბიკაშვილის  
პირველი ჯილდოები



— ბოლო მომენტამდე თავს ვიკავებდი. 1994 წელი იდგა. გადაწყვეტილება დროულად უნდა მიმეღო, თორემ ატლანტაში ვერც საქართველოს სახელით გამოვიდოდი და ვერც სხვა ქვეყნისა. მივედი სპორტის დეპარტამენტში და ვუთხარი, რომ სხვა გამოსავალი არ არის, უნდა წავიდე და ჩემს თავს მე თვითონ მივხედო-მეთქი. სწორედ ამ დროს ჩემი მოლაპარაკებები საბერძნეთის ძალოსნობის ფედერაციასთან დასკვნით სტადიაში შევიდა. წასვლით კი წავედი, მაგრამ საჭირო იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ნებართვა, რომ ოლიმპიადაზე საბერძნეთის სახელით შემძლებოდა გამოსვლა. მოლაპარაკებები კომპენსაციის შესახებ კარგა ხანს გაგრძელდა. თუ არ ვცდები, ჩვენები საბოლოოდ იმის მეხუთედზე დათანხმდნენ, რასაც თავიდან ითხოვდნენ.

ასე აღმოჩნდა კახი კახიაშვილი საბერძნეთში და ამ ქვეყნის სახელით ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა. გვარი არ შეუცვლია. რაც შეეხება სახელს, იგი უკვე ათენში იყო, როცა საბერძნეთის მოსკოვის საკონსულოში მის სახელს რამდენადმე ბერძნული ჟღერადობა მისცეს, ხოლო კახის — ცნობა იმის შესახებ, რომ კახი კახიაშვილი და აკაკი კახიაშვილი ერთი და იგივე პიროვნება იყო.

აკაკი ბერძნული წარმოშობის სახელია და არაბოროტს, უბოროტოს ნიშნავს.

თავიდან ძალიან გაუჭირდა. საბერძნეთის ნაკრები განსხვავებული მეთოდოლოგიით ვარჯიშობდა, აქ არ იყო ინდივიდუალური წვრთნა, რასაც კახი ვანო გრიჭუროვთან იყო მიჩვეული, ხოლო ერთიანი სისტემა მიუღებელი აღმოჩნდა კახისთვის. ის კი არა, ორი თვის შემდეგ უკან დაბრუნებასაც კი ფიქრობდა. საერთოდაც, ძალიან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა საბერძნეთის ძალოსნობის ფედერაციასთან. მერე საქმეში საერთაშორისო ფედერაცია ჩარეულა და მკაცრად გაუფრთხილებია ორივე მხარე — საბერძნეთის ძალოსნობის ფედერაცია, ერთი მხრივ, და კახი კახიაშვილი, მეორე მხრივ, რომ ურთიერთწყენას მორიდებოდნენ.

ერთადერთი, რამაც იმ პერიოდში საბერძნეთში გამაძლებინა, ბერძენი ხალხის, ბერძენი გულშემატკივრის სიყვარული იყო, იტყვის წლების შემდეგ კახი.

\* \* \*

კახი კახიაშვილზე პირველად 1987 წელს ალაპარაკდნენ. ჯერ ცხინვალის გაზეთებში გამოჩნდა მისი სახელი, მერე — თბილისურში, რესპუბლიკურში. ის კი არა, 18 წლის სპორტსმენი საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენის კანდიდატადაც დაასახელეს.

აი, რას წერდა 1987 წლის 28 ნოემბერს ჩემი კოლეგა ჯემალ კასრაძე გაზეთ „ლელოში“:

„იმისათვის, რომ საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დაგასახელონ, ჭაბუკთა თუნდაც საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვება საკმარისი არ არის. უძლიერესთა შორის ადგილის დასამკვიდრებლად სხვა, უფრო თვალსაჩინო წარმატებაა საჭირო, მაგრამ ცხინვალელი კახი კახიაშვილის წარმატებები ჩვენი ძალოსნობის საერთო ფონზე იმდენად გამორჩეული იყო, რომ მაინც გადაწყვიტეთ მისი წარმოდგენა. ვფიქრობთ, არც შევმცდარვართ, რადგან კახიმ წელს თავისი ასაკის ძალოსანთა ასპარეზობაში ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა და ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებმა იგი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ძალოსნად აღიარეს.

კახის ბიძა, სპორტის ოსტატი გივი კახიაშვილი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი იყო ძალოსნობაში, მაგრამ ბიჭს ბიძის მიბაძვით არ დაუწყია ძალოსნობაში ვარჯიში. მისი არჩევანი შემთხვევამ გადაწყვიტა — ქუჩაში ფეხბურთის თამაშის დროს ძალოსნობის მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა დაადგა თვალი. ახალგაზრდა მწვრთნელმა მეექვსეკლასელ კნაჭა ბიჭში ძალოსნის მონაცემები დაინახა და სთხოვა, მასთან დარბაზში მისულიყო. მანამდე კახიმ მოასწრო ტანვარჯიშის სექციაში სიარული, შემდეგ ფეხბურთმა გაიტაცა, მაგრამ ფეხი მოიტეხა და გადაწყვიტა მეგობრად დინჯი და ბრძენი ჭადრაკი აერჩია, მაგრამ ტყუილად არ უთქვამთ, სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენით. კახი ძალოსნობის დარბაზში მივიდა. მივიდა და დებიუტანტისთვის არცთუ ურიგო წონა — 22 კილოგრამი დაძლია. ერთი წლის შემდეგ ორჭიდში 70 კილოგრამი ასწია, მაგრამ... ხელი მოიტეხა. აქ კი მშობლებმა ამოიღეს ხმა — ჯერ ფეხი მოიტეხე, ახლა ხელი, მალე ალბათ კისერსაც მოიტეხ, როგორც ჩანს, სპორტი შენი საქმე არ არის და სჯობს თავი დაანებოო. უკვე გვიან იყო, რადგან ბიჭს რკინასთან ჭიდილი დაწყებული ჰქონდა. ერთი თვის შემდეგ კვლავ ძალოსნობის დარბაზს მიაკითხა. მთელი სამი თვე ვარჯიშობდა სიმძიმეებით ჩაჯდომაში, მერე

ისევ ჩვეულებრივად გააგრძელა ვარჯიში. 1982 წელს მეშვიდეკლასელმა ბიჭმა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მასზე უფროსი და გამოცდილი მეტოქეები დაჯაბნა, ჩემპიონობა მოიპოვა. ამის შემდეგ კახი თითქმის ყველა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში იმარჯვებდა. მის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ივანე გრიქუროვს, რომლის ურთიერთობა არა მარტო კახისთან, არამედ ყველა აღსაზრდელთან სამაგალითოა. ვანო გრიქუროვი მოაზროვნე მწვრთნელთა საკმაოდ დიდი არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან კარგად იცის მწვერვალისკენ მიმავალი ყველა გზანვრილი; ხმის აუნეველად, დინჯად, როგორც ტოლი — ტოლს, ისე ელაპარაკება თავის შეგირდებს, წარმატება-წარუმატებლობის მიზეზებსაც მათთან ერთად ადგენს. მისი გულისხმიერი დარიგება თითქმის ყოველთვის აღწევს მიზანს. მისთვის მარტო ის კი არ არის მთავარი, რომ შეგირდმა სპორტულ სარბიელზე მიაღწიოს წარმატებას, მას სურს ისინი კარგ ადამიანებადაც აღიზარდონ. ამიტომაც, კახი თავის მწვრთნელზე ყოველთვის გულწრფელი პატივისცემით რომ ლაპარაკობს.“

— ძალოსნობაში ვარჯიში 11 წლისას დამაწყებინა ბატონმა ვანო გრიქუროვმა, — იხსენებდა ბარსელონიდან თბილისს დაბრუნებული ოლიმპიური ჩემპიონი, — ქუჩაში თამაშის დროს დამადგა თურმე თვალი. თავისთან მიმიხმომ და დარბაზში მიმიწვია. „გამოცდა“ მეორე დღეს ჩავაბარე — 22 კილოგრამი დავძლიე. შემაქო... ბატონ ივანეს კარგად ესმის ბავშვის ფსიქოლოგია. ალბათ ამიტომ ჯგუფის წევრებს ფეხბურთსაც გვათამაშებდა, კალათბურთსაც, არც სირბილი გვაკლდა, არც ხტუნაობა, არც ტურისტული ლაშქრობები. ერთი სიტყვით, მარტო შტანგით როდი იფარგლებოდა. მერე მივხვდი: თურმე ეს ყველაფერი საერთო ფიზმომზადებისთვის ყოფილა საჭირო...

თავად ვანო გრიქუროვი ასე ჰყვება კახიაშვილის დამონაფების ამბავს:

— ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. ერთმა მათგანმა მიიქცია ჩემი ყურადღება. თითქოს ზანტი და მოუქნელი იყო, რაღაც უხალისოდ მოძრაობდა, მაგრამ ბურთი რომ მიანოდეს, მთლიანად გარდაიქმნა, მოხერხებულად აუარა გვერდი ჯერ ერთს, მერე მეორეს და გოლიც გაიტანა. ამის შემდეგ ისევ მოუშვა და მოდუნდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ამაში მისი სასწაული ნერვული სისტემა დავინახე, რომელიც ძალიან უნდა გამოდგომოდა სპორტში და კერძოდ — ძალოსნობაში: საჭირო დროს მობილიზების შემდეგ ისევ მოდუნებაა აუცი-



ვანო გრიქუროვი ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა ბოლო ორი ათწლეულის ქართული ძალოსნობის ისტორიაში. საქართველოს სულ სამი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს ძალოსნობაში და ორი მათგანი ვანო გრიქუროვის აღზრდილია

ლებელი, რომ აღდგენითი პროცესები კარგად და სწრაფად განვითარდეს. მისი ეს თვისება ძალიან მომენტონა და სექციიაში მივიწვიე. მოვიდა და მალე გამოვნახეთ საერთო ენა...

სწორედ ამ საერთო ენის დამსახურება იყო კახი კახიაშვილის ასე სწრაფი აღმასვლა და ასე მტკიცედ დამკვიდრება ძალოსნობის ოლიმპზე. ვანო გრიქუროვმა უდიდესი როლი შეასრულა კახი კახიაშვილის სპორტულ კარიერაში. საერთოდაც, ვანო გრიქუროვი ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა ბოლო ორი ათწლეულის ქართული ძალოსნობის ისტორიაში. საქართველოს სულ სამი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს ძალოსნობაში და ორი მათგანი ვანო გრიქუროვის აღზრდილია. არავინ ჩათვლის გადაჭარბებად, თუ ვიტყვი, რომ ვანო გრიქუროვი დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და არა მარტო ძალოსნობაში, არამედ საერთოდ. ამ მხრივ მას მეტოქეობას ალბათ მხოლოდ შოთა ხაბარელი თუ გაუნევს. შემთხვევითი არ არის, რომ ერთიც და მეორეც დიდი საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობენ. უკვე მას შემდეგ, რაც კახი კახიაშვილის კვალს მიჰყვენენ ცოფალიკი, კოლეცკი თუ ასანიძე, ვანო



საერთაშორისო  
ოლიმპიური კომიტეტის  
პრეზიდენტი ხუან  
ანტონიო სამარანჩი და  
მომავალი ოლიმპიური  
ჩემპიონი კახი კახიაშვილი.  
თბილისი, 1992 წელი

გრიქუროვთან სოლიდური ინტერვიუ გამოაქვეყნა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა ჟურნალმა.

მე კარგად ვიცნობ ვანო გრიქუროვს, ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს თბილისში თუ უცხოეთში, ოლიმპიურ თამაშებზე თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე, ბევრი გვისაუბრია და შემიძლია დავადასტურო: ეს გახლავთ მართლაც უაღრესად კვალიფიციური პროფესიონალი, რომლის გარეგნული უბრალოების მიღმა დიდი ერუდიცია და სიბრძნე იმალება. ვანო გრიქუროვისათვის არ არსებობს საიდუმლო ძალოსნობაში, მან შესანიშნავად იცის სპორტი, მედიცინა, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა...

თუმცა ვანო გრიქუროვს აქვს წვრთნის ნლობით ჩამოყალიბებული და ნაცადი მეთოდოლოგია, მაგრამ თავის ყოველ მოწაფეს, მათი ტემპერამენტიდან თუ ხასიათიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად უდგება, ეძებს და პოულობს მხოლოდ იმ ერთისთვის საჭირო გასაღებს.


და ისინიც იხსნებიან, მთელი სისრულით ავლენენ თავიანთ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომლებიც უგრიქუროვოდ იქნებ სულაც არ გამოვლენილი-

ყო. ამიტომ არის, რომ ძალოსნები ვანო გრიქუროვთან მოდიან და არ მიდიან, მათი ურთიერთობა თითოეულისათვის მთელი სპორტული კარიერის მანძილზე გრძელდება. კახი გამონაკლისი იყო, თუმცა იგი გრიქუროვისაგან არ წასულა, საერთოდ წავიდა, მაგრამ მას შემდეგაც არასოდეს გაუწყვეტია კავშირი თავის პირველ მწვრთნელთან, ხშირად იღებდა მისგან რჩევა-დარიგებას და მასთან ერთად ზრუნავდა ქართული ძალოსნობის ხვალისდელ დღეზე. საბერძნეთში მას სხვა მწვრთნელი არც ჰყოლია, თუ ნაკრების გუნდის მთავარ მწვრთნელს არ ჩავთვლით. ვეებერთელა გამოცდილება და მუდმივი კონტაქტი თავის პირველ მწვრთნელთან კახის საშუალებას აძლევდა, დამოუკიდებლად წარემართა თავისი ვარჯიშის პროცესი ასპარეზობებისთვის მზადების ყველა ეტაპზე.

თავად ვანო გრიქუროვიც წავიდა სხვა ქვეყანაში სამუშაოდ — წლების მანძილზე იგი პოლონეთში ცხოვრობდა და საქმიანობდა, წლების მანძილზე პოლონეთის ძალოსანთა ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა, მაგრამ ამავე დროს არც საქართველოს დავინწყებია და ქართველ ძალოსნებსაც ამზადებდა ოლიმპიადისათვის. არაერთხელ ყოფილა, რომ ვანო გრიქუროვს თავისი ინიციატივით, პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციის თანხმობითა და კახი კახიაშვილის თანადგომით ესა თუ ის ქართველი ძალოსანი პოლონეთში მიუწვევია ერთობლივ შეკრებაზე. ისიც ალბათ უნიკალური შემთხვევაა, რომ სიდნეიში ვანო გრიქუროვის ორი მოწაფე — ქართველი კახი კახიაშვილი და პოლონელი შიმონ კოლეცკი — ერთდროულად იდგა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე.

კოლეცკი ჯერ 14 წლისაა, სიდნეიმდეც მთელი ოთხი წელიწადია, მანამდე კი მეც, ვანო გრიქუროვიც და კახი კახიაშვილიც ატლანტაში უნდა ჩავიდეთ. 1996 წლის ივლისში მე საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციასთან ერთად თბილისიდან გავემგზავრები ამერიკისკენ, ვანო გრიქუროვი — ვარშავიდან, კახი კახიაშვილი კი — ათენიდან.

დამოუკიდებელი საქართველოს ეს პირველი ოლიმპიადა, რომელიც დავით ხახალაიშვილის ოქროს მედლით უნდა დაწყებულიყო, ჩვენი დელეგაციის მესვეურთა უთავბოლოობის გამო მისი ვერანონვითა და შეჯიბრებიდან მოხსნით დაიწყო. მას მერე ყველაფერი უკუღმა წავიდა და საქართველოს ოლიმპიელებმა ორი ბრინჯაოს მედალი ძლივს მოიმუშაკეს. ატლანტური შთაბეჭდილებები ერთი გრძელი კომმარავით გაიწელა, თუმცა იყო ამ კომმარში რამდენიმე გამონათება და ერთი ყველაზე მთავარი მათ შორის კახი კახიაშვილის წარმატება გახლდათ.



კახი კახიაშვილი, რომელიც ატლანტის ოლიმპიურ ოქმებში აკაკიოს კახიაშვილისის სახელით იყო მოხსენიებული, 99 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონის მთავარი მეტოქე სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი, ახლა უკვე ყაზახეთის წარმომადგენელი ანატოლი ხრაპატი იყო. კახიაშვილის „გაბერძნება“ და ხრაპატის „გაყაზახება“ ატლანტაში არავის გაკვირვებია. მხოლოდ ძალოსნობაში, მხოლოდ კახის წონაში პირველი ცხრა ძალოსანი ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იყო, ატლანტაში კი ზოგი უკრაინის ღირსებას იცავდა, ზოგი — რუსეთის, ზოგი — სომხეთის, ზოგი — ყაზახეთის, ზოგი — საბერძნეთის და ზოგიც — გერმანიისა. ატლანტის თამაშებზე პირველად და მთელი სისრულით წარმოჩნდა გლობალიზაციის გავლენა სპორტში.

გარკვეულწილად გლობალიზაციის შედეგი იყო ისიც, რომ ანატოლი ხრაპატის ბარსელონის ოლიმპიადა გაუცდა, მაგრამ მას სპორტისთვის თავი არ დაუნებებია და 32 წლისამ ატლანტის ოლიმპიადამდე სამი თვით ადრე სამი

მსოფლიო რეკორდი დაამყარა. პირველ მძიმე წონაში ორი ოლიმპიური ჩემპიონის უშუალო დაპირისპირება ატლანტის თამაშების ძალოსნური პროგრამის მთავარი ინტრიგა იყო. აი, როგორ აღწერს ამ პაექრობას ბერძენი ჟურნალისტი კოსტას კარაიანიდისი:

„კახიაშვილი ხრაპატიზეც და ყველა სხვა მოწინააღმდეგეზეც მსუბუქი იყო და თანაბარი შედეგის შემთხვევაში, წესების მიხედვით, უპირატესობა მიენიჭებოდა. მისი წონა 96 კილოგრამი და 780 გრამი იყო. მას შეეძლო უბრალოდ გაემეორებინა ხრაპატის შედეგები, მაგრამ მან სხვა ტაქტიკა აირჩია... როცა ხრაპატიმ 177,5 კგ აიტაცა, კახიმ ასევე მსუბუქად და ტექნიკურად ასწია 180 კგ. ხრაპატიმ გაჭირვებით ასწია 182,5, კახიაშვილმა კი ლამაზად აიტაცა 185 (სხვათა შორის, შტანგის აწევის მისეული ტექნიკა გამოირჩევა სხვა ოლიმპიური ჩემპიონების ფონზეც, დიმასისა და სხვა ზოგიერთის გარდა). აქ ხრაპატიმ ტაქტიკური სვლა გააკეთა (მე მეგონა, რომ იგი 185-ზე წავიდოდა; მეტის ძალა, ჩემი აზრით, არ შესწევდა): ბრწყინვალედ აიტაცა 187,5 კილოგრამი. ჩვენმა ათლეტმაც ეს წონა შეუკვთა, ლამაზადაც აიღო ჯდომში, მაგრამ ჯდომიდან წამოდგომა იჩქარა, არადა ცოტა უნდა მოეცადა, რომ შტანგა კარგად დაფიქსირებულიყო (ვინ იცის, რამდენი წარმატებული ცდა გაცუდდა სწორედ ასეთ მომენტში, როცა თითქოსდა ყველაფერი რიგზეა). შტანგა უკან გადავარდა და კახიაშვილი ატაცის შემდეგ ჩამორჩა. მე ვიცოდი, რომ ხრაპატი ძლიერია აკვრაში (მას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი — 228 კგ), ჩვენს ათლეტს კი მასზე 2,5 კილოგრამით მეტი უნდა აეკრა, რომ ატაცში ჩამორჩენა დაეძლია... ხრაპატიმ 217,5 კგ ასწია. ბუნებრივია, ჩვენი ათლეტი 220 კილოგრამზე წავიდა და იოლადაც დასძლია. თანაც მან გამოიყენა ეგრეთწოდებული აკვრითი „შეუნგი“ (როცა ფეხი უკან არ იწევა) და ადგილიდან არ დაძრულა. სანახაობრივი და ძალიან ლამაზი აკვრა გამოვიდა. ხრაპატი გაჭირვებით სწევს 222,5 კილოგრამს, უკრაინელი დენის გოტფრიდი 220-ზე „იყინება“ და პირველ-მეორე ადგილზე უკვე აღარ აცხადებს პრეტენზიას. კახიაშვილი ბრწყინვალედ იღებს მკერდზე და ასევე ბრწყინვალედ კრავს 225 კილოგრამს. დაინახა რა, როგორი სიმსუბუქით სძლევა შტანგას მოწინააღმდეგე, გამოცდილი ხრაპატი მიხვდა, რომ 225 არ იქნებოდა საკმარისი გამარჯვებისათვის და, ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მან იერიში მიიტანა 227,5 კილოგრამზე, რაც სულ 0,5 კილოგრამით ნაკლებია მისსავე მსოფლიო რე-



კორდზე, რათა წარმატების შემთხვევაში მეტოქე იძულებული გაეხადა, 230 შეეკვეთა, რაც 2 კილოგრამით მეტია მსოფლიო რეკორდზე. მან შტანგა მკერდზე აიღო, ადგა, აკრა, მაგრამ თავს ზემოთ ველარ შეიკავა. ...კახიაშვილი უკვე ჩემპიონია (მათ ერთნაირი ჯამი აქვთ: 410 კგ — 185+225 და 187,5 + 222,5), მაგრამ აქ იგი უმტკიცებს ყველას და მათ შორის – მეც, რომ ტყუილად არ ვუჭერდით მხარს. ის უკვე თავს 235 კილოგრამს, რაც 7 კილოგრამით (!) მეტია მსოფლიო რეკორდზე. იგი ბრწყინვალე სტილით იღებს შტანგას მკერდზე და კლასიკურად სწევს ზემოთ. საოცარი სანახავი იყო, როგორ ადვილად გაზარდა მან ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი“.


კახი კახიაშვილი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

იგი მეორე სპორტსმენია ისტორიაში, რომელმაც ოლიმპიური ოქროს მედლები ორი სხვადასხვა ქვეყნის სახელით მოიპოვა; პირველი გახლდათ მორაგბე დენიელ კეროლი, რომელმაც ოლიმპიური ოქრო 1908 წელს ავსტრალიის გუნდთან ერთად მოიგო, 1920 წელს კი — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან ერთად.


ატლანტაში კახიაშვილის გამარჯვებას ბერძნებთან და ქართველებთან ერთად ზეიმობდა ვანო გრიქუროვიც, რომელიც პოლონეთს წარმოადგენდა და რომლის აღზრდილმა ანჯეი ცოფალიკმა ატლანტაში მესამე ადგილი დაიკავა მსოფლიო რეკორდსმენების — ბერძენი პიროს დიმასისა და გერმანელი მარკ ჰუსტერის შემდეგ.

თუ ოთხი წლის წინათ კახის პატივსაცემად საქართველოს დროშა აფრიალდა და ჩვენი ქვეყნის ჰიმნი აჟღერდა, ამჯერად მისი გამარჯვების აღსანიშნავად ატლანტის ძალოსნური ფიცარნაგის თავზე საბერძნეთის ეროვნული დროშა აღიმართა და გულშემატკივრები საბერძნეთის ეროვნულ ჰიმნს აუდგნენ ფეხზე.

— როგორი განცდა მქონდა და, ალბათ ისეთივე, როგორიც ბარსელონაში, იმ განსხვავებით, რომ თუ მაშინ ჩემი გამარჯვება მხოლოდ საქართველოს ეკუთვნოდა, ამჯერად ჩემი გამარჯვების სიხარულს ორი ქვეყანა — საბერძნეთი და საქართველო ინაწილებდა. თუმცა ერთგვარი სინანულით უნდა ვთქვა, რომ საბერძნეთში უფრო აქტიურად გამოხატავენ ამ სიხარულს: ბარსელონიდან რომ დავბრუნდი, თბილისის აეროპორტში მხოლოდ ოჯახის წევრები და ნაცნობ-მეგობრები დამხვდნენ, ათენში კი...




ბარსელონის ოლიმპიადა.  
აკერა. ბოლო ცდა. ტაბლო-  
ზე ინთება ციფრები: „235“.  
ეს ევროპისა და მსოფლიო  
რეკორდია. შტანგას რომ  
უახლოვდებოდა, კახის  
მდეღვარება მოეთოკა და  
გარეგნულად აბსოლუ-  
ტურად მშვიდი იყო.



იმ სამიოდე წამმა, რომლის განმავლობაში შტანგა კახის ზეალმართულ ხელეზე იყო გაყინული, ემოციათა მთელი სპექტრი ჩაიტივა: სირცოვის იმედგაცრუება, ალექსეევის გაორება, გრიქუროვის სიხარული, გულშემატკივართა აღტაცება, ქართველთა აღფრთოვანება და თავად კახის უკვე მოუთოკავი მღელვარება. კახი იღიმება, თითქოს 235 კილოგრამი კი არა, საჰაერო ბუშტი ეჭიროს ზეალმართული ხელებით. უკანა პლანზე გრიქუროვი ჩანს, რომელსაც შტანგისტივით აღუმართავს მომუშტული ხელეები, შტანგალა აკლია...  
ბარსელონა, 1992 წელი



კახი კახიანი —  
საბერძნეთის სამხედრო-  
საავიაციო ძალების  
ოფიცერი



სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი ყველა დროის ერთადერთი სპორტსმენია მსოფლიოში, რომელიც სხვადასხვა დროს ოთხი სხვადასხვა ქვეყნის ღირსებას იცავდა და არათუ იცავდა, ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონიც გახდა.

ატლანტიდან დაბრუნებულ საბერძნეთის ოლიმპიურ ნაკრებს საარაკო შეხვედრა მოუწყეს. აეროპორტი და მთელი 12-კილომეტრიანი გზა აეროპორტიდან ათენის მარმარილოს სტადიონამდე ხალხით იყო სავსე. ღია მანქანები ძლივს მიიკვლევდნენ გზას გულშემატკივართა ზღვაში. ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი და ოთხი ვიცე-ჩემპიონი განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი იყო გარემოცული. მანქანების კორტეჟი დროშებისა და ყვავილების ზღვაში ჩაძირულიყო, ალტკინებულ ბერძენთა ყიჟინას კი ლამის პარტენონის კედლები დაეზარა. ოლიმპიურ ჩემპიონებს, ანტიკური ტრადიციის თანახმად, დაფნის გვირგვინები დაადგეს თავზე. ამ მოვლენის პირდაპირი ტელერეპორტაჟი მთელ საბერძნეთში გადაიცა და „ევროსპორტმაც“ აჩვენა.


საქართველოში ამ დროს ათასგვარი ტყუილ-მართალი გავრცელდა, რომ თითქოს კახი კახიაშვილს მილიონი დოლარი და კუნძული უბოძეს ჯილდოდ, რომ თითქოს მას სამუდამო პენსია დაუნიშნეს და ათენის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, რომ თითქოს ათენში მისი ძეგლის დადგმას აპირებდნენ და სხვა ასეთი.

თუმცა მე პირადად ორგზის ოლიმპიური ჩემპიონისთვის ასეთი დაფასება და აღიარება სულაც არ მებევერება და ისიც ვიცოდი, რომ ათენის არა, მაგრამ, როგორც იმ ოლიმპიადის ყველა გამარჯვებულს, კახი კახიაშვილსაც უბოძეს ატლანტის საპატიო მოქალაქის ტიტული, მეტი სიზუსტისათვის, კახისთან პირადად შეხვედრისას, ბუნებრივია, დავინტერესდი, რა ერქვა მის კუნძულს ან ბოლოსდაბოლოს რითი აღნიშნა საბერძნეთმა თავისი სპორტსმენების, და კერძოდ — კახი კახიაშვილის, ოლიმპიური გამარჯვება.

— კუნძულისა და ძეგლის რა მოგახსენოთ, — გაეცინა კახის, — ისე კი, ოლიმპიური ჩემპიონობა მართლა ღირსეულად აღნიშნა საბერძნეთმა. საერთოდ, როგორც წესი, საბერძნეთში ოლიმპიურ ჩემპიონს ეძლევა პრემია — 65 მილიონი დრაკმა, რაც დაახლოებით 200 ათასი დოლარია. ვინ ბევრად ჩათვლის ამ თანხას, ვინ — ცოტად. შედარებისთვის გეტყვით, რომ ბულგარეთიდან თურქეთს გაქცეულ სულეიმანოვს, რომელმაც უკვე სულეიმანოვს გვარით და თურქეთის სახელით თავისი მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო ბარსელონაში, თურქეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა თურგუთ ოზალმა მისი წონა ოქრო უბოძა. კიდევ კარგი, სულეიმანოვი ჩემს წონაში არ გამოდის, თორემ პრეზიდენტს ეს ძღვენი გაცილებით ძვირი დაუჯდებოდა!

სხვათა შორის, სულეიმანოვმა ატლანტის ოლიმპიადის შემდეგაც ყველაზე მეტი მიიღო. ოქროთი მოვაჭრე ერთი უმდიდრესი თურქი ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე დაპირდა მას, რომ თუ მესამედაც მოიპოვებდა ოლიმპიურ ჩემპიონობას, თავისი მალაზიების ქსელს მის სახელს დაარქმევდა და 50-პროცენტიან წილში ჩასვამდა. მან ეს პირობა შეასრულა და თუ დღეს თურქეთში შეგზვდებათ ოქროს მალაზია წარწერით — „ნაიმ გოლდ“, იცოდეთ, რომ ამ მალაზიის მოგების ნახევარი სულეიმანოვს ეკუთვნის.

— ჩვენი დაფასება-დაჯილდოება სახელმწიფოს დონეზე მოხდა, — აგრძელებს კახი, — ვთქვათ, აი, ეს მანქანა. არა, ნაჩუქარი არ არის: საბერძნეთში ავტომანქანა ძალიან ძვირია. იმის მიუხედავად, რომ ბერძნები თვითონ არ უშვებენ, მისი შემოყვანა დაახლოებით 70 პროცენტით იბეგრება. ოლიმპიური ჩემპიონები გაგვათავისუფლეს ამ გადასახადისაგან. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, საბჭოთა წყობის დროს მონინავე სპორტსმენებს ურიგოდ რომ აძლევდნენ მანქანის შეძენის უფლებას. საერთოდ, საბერძნეთის ხელისუფლების დამოკიდებულება სპორტისა და სპორტსმენებისადმი, თავისი შეკრებებით, ტალონებით, დეკლარირებული სამოყვარულო სტატუსითა თუ პრემირების სისტემით, სწორედაც რომ საბჭოურია. თუმცა არის პრინციპული განსხვავებაც — საბერძნეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომლის კანონმდებლობაც საგანგებოდ ითვალისწინებს სერიოზულ გარანტიებს, შელავათებსა თუ ჯილდოებს უმაღლესი სპორტული მიღწევებისათვის. რაც გითხარით, იმის გარდა, მაგალითად, ატლანტის ოლიმპიადის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადმოგვცეს სპორტლოტოს მალაზიის გახსნის უფლება, თუმცა მისი შემოსავალი, რა თქმა უნდა, ახლოსაც ვერ მოვა სულეიმანოვის მალაზიების შემოსავალთან. მაგრამ ყველაზე კარგი, რაც მთავრობამ გაგვიკეთა, ეს არის სამედიცინო დაზღვევა მთელ ოჯახზე და მუდმივი სამუშაოს გარანტია. მე საბერძნეთის ჯარში ვირიცხები საპატიო ოფიცრად. ვარ სპორტულ ნაწილში, უმცროსი ლეიტენანტის წოდება მაქვს. სპორტიდან წასვლის შემდეგ გარანტირებული ვიქნები მუდმივი სამუშაოთი. სახელმწიფო სამსახური აქ სამუდამოა. ეს ძალიან დიდი შელავათია. თუმცა თავის დროზე სამ წელიწადს ვსწავლობდი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხინვალის ფილიალში და შემდეგ — რამდენიმე თვეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მე ფაქტიურად რაიმე პროფესია ან ხელობა არ



ატლანტის ოლიმპიურ  
თამაშებზე კახი  
კახიაშვილმა ორჭიდში  
420 კგ მოაგროვა,  
მსოფლიო რეკორდი  
დაამყარა და მეორედ  
გახდა ოლიმპიური  
ჩემპიონი



გამაჩნია. ძნელია, სპორტში სერიოზული ვარჯიშისა და სწავლის შეთავსება: ერთში წარმატებების მიღწევა მეორის ხარჯზე ხდება. რაც შეეხება საპატიო მოქალაქეობას, ათენის არა, მაგრამ ატლანტასთან ერთად ვარ ბარსელონის, სიდნეისა და თესალონიკესთან მდებარე პატარა ქალაქ კალამარიას საპატიო მოქალაქე. კიდევ აი, რა: ყველა შეჯიბრების მერე ვიღებ გარკვეულ პრემიას. საქმე ის არის, რომ ოფიციალური ხელფასის სახით არ შეიძლება, რომ ჩვენ 400-500 დოლარზე მეტი გვექონდეს, რადგან ხელი გვაქვს მონეროლი ჩვენს სამოყვარულო სტატუსზე. სახელმწიფო ფედერაციას აძლევს ფულს, ფედერაცია — ჩვენ. თუმცა როგორც ხანდახან მამა გამოარჩევს ხოლმე თავის შვილებს, აქაც არის გარკვეული დიფერენციაცია; თუ, მაგალითად, დიმასმა 50 ათასი მიიღო, მე მხოლოდ 10 ათასი მომცეს, აქაოდა შენში ამხელა ფული გადავიხადეთ... რამდენი და, აკი ვთქვი, რაც მოითხოვეს, იმის მეხუთედი. მოთხოვნით კი ბლომად მოითხოვეს... ერთი სიტყვით, ამ თანხას თითქოს მე მიკავებენ; გამოდის, რომ მევე მახდევინებენ საბერძნეთის ძალოსნობის ფედერაციის მიერ ჩემზე განეულ ხარჯებს. ეს კიდევ არაფერი: საბერძნეთში ზოგიერთ სპორტულ ფუნქციონერს, უპირველეს ყოვლისა, აქ სპორტის სამინისტროს ვგულისხმობ, უფრო ზუსტად — ორიოდ ხელმძღვანელს ამ სამინისტროში, სულაც არ უხარია ჩემი არათუ ოლიმპიური ჩემპიონობა, საერთოდ წარმატებები. ხანდახან იგნორირებასაც კი მიკეთებენ. ამას წინათ საკმაოდ მაღალი ტრიბუნიდან საკმაოდ მაღალი რანგის სპორტულმა მოღვაწემ საბერძნეთის ძალოსანთა ნაკრებს „დიმასი და მისი გუნდი“ უწოდა, თუმცა ტიტულებით მე არათუ ჩამოვრჩები, ვუსწრებ კიდევ დიმასს. შემდეგ იმ მოღვაწეს საქმე საბოლოოდ გაუხდა და უკან წაიღო თავისი სიტყვები. საერთოდ, მე აქ საჩემპიონოდ არავის დავუპატიჟივარ, დიმასის აღსაზრდელად ვჭირდებოდი: იგი ფიზიკურად მუდამ ძლიერი იყო, მაგრამ, სპეციალისტთა საერთო აზრით, ტექნიკაში მოისუსტებდა და სწორედ მისი ტექნიკის სრულყოფა და დახვეწა უნდა ყოფილიყო ჩემი მთავარი ამოცანა საბერძნეთში. ერთი სიტყვით, ძალიანაც არ უნდა ამოვეყო თავი. მე აქ არც კი მიხსენიებენ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონად. მარტო მე კი არა, საბერძნეთის სპორტის ზოგიერთმა ფუნქციონერმა ვალერა ლეონიდისსაც შეუშალა ხელი, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარიყო. საქმე ის არის, რომ საბერძნეთი პატარა ქვეყანაა და სამი-ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი რომ ჰყავდეს ერთ სახეობაში, ეს საერთაშორისო ფედერაციის და ძალოს-

ნობაში დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნების გაღიზიანებას იწვევს. ხოლო იმ ორ სპორტულ ფუნქციონერს ნათლიმამური დამოკიდებულების გამო ალბანელი დიმასი ურჩევნიათ რუს ლეონოვ-ლეონიდისს და ქართველ კახიაშვილს. ერთი სიტყვით, საბერძნეთის სპორტის ზოგიერთ დიდ ხელმძღვანელთან ისეთივე გამწვავებული ურთიერთობა მაქვს, როგორც საქართველოში მქონდა ზოგიერთ სპორტულ ჩინოვნიკთან. თუმცა ამ ბოლო დროს სიტუაცია რამდენადმე გაუმჯობესდა. რაც შეეხება ხალხს, საბერძნეთის მოსახლეობა დიდ პატივს მცემს; მე ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. ჩემი პორტრეტი ატლანტაში გამარჯვებულ სხვა სპორტსმენთა პორტრეტებთან ერთად სატელეფონო ბარათებზეც დაბეჭდეს. რომ არ იყოს ის ერთი-ორი ფუნქციონერი სპორტის სამინისტროში, პრობლემა არ მექნებოდა. მაგრამ არ შეიძლება მადლიერებით არ ვთქვა, რომ საბერძნეთმა ყველაფერი გამიკეთა, რათა დავრჩენილიყავი სპორტში, არ მიმეტოვებინა ჩემი საყვარული სახეობა და სრულად გამომეგვლინა ჩემი პოტენციური შესაძლებლობები. ამის სანაცვლოდ, მე ძალღონეს არ დავიშურებ, რომ ღირსეულად გადავუხადო საბერძნეთს ეს ამაგი, როგორც სპორტსმენმა და როგორც ამ ქვეყნის მოქალაქემ.

საბერძნეთში ძალიან ბევრმა იცის, ვინ არის კახი კახიაშვილი, ვისი გორისაა, საიდან და სადაური, რა უყვარს, რა არა, რა სწყინს და რა უხარია. ბერძნებმა კარგად იციან, რომ კახიაშვილი კირჩხიბის ნიშნით დაიბადა საქართველოში; რომ სპორტის სახეობებიდან ძალოსნობის გარდა უყვარს სპორტული ცეკვები და ფეხბურთი; რომ გულშემატკივრობს ჰოლანდიის „აიაქსს“; რომ საჭმელებიდან უყვარს კვერციხი და ბრინჯი, სასმელებიდან — ღვინო, ხოლო ხილიდან — ატამი; რომ ქალებიდან მოსწონს სოფია ლორენი, თუმცა ვერ იტანს კინოს; რომ არ უყვარს ცივი წყალი და რომ მისი ჰობია ფოტოგრაფია...

კვირა არ გავა, რომელიმე ბერძნულ გამოცემაში მისი სურათი არ დაიბეჭდოს ან რაიმე არ დაინეროს მასზე. საქართველოს თუ საბერძნეთის პრესაში კახი კახიაშვილის შესახებ გამოქვეყნებული მასალები ათენის ერთ სოლიდურ გამომცემლობას შეუკრებია, სათარგმნი უთარგმნია და ყველაფერი უხვად ილუსტრირებულ, ორენოვან — ბერძნულ-ინგლისურ წიგნად უქცევია.

კახი კახიაშვილი სიყვარულით მიიღო და შეითვისა საბერძნეთმა, მისმა მოსახლეობამ. კახიც ცდილობს ღირსეულად დაუფასოს თავის მეორე სამშობლოს გულგახსნილობა და სიყვარული.

ამავე დროს იგი მუდამ ცდილობდა და კვლავაც ცდილობს, მხარში ამოუდგეს ქართველ ძალოსნებს, თავის ყოფილ თანაგუნდელებს. მას მუდამ მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა და აქვს თავის ყოფილ მწვრთნელთან და უფროს მეგობართან ვანო გრიჭუროვთან, რომელიც პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელობის პარალელურად საქართველოს საუკეთესო ძალოსნებსაც ავარჯიშებდა. ზოგიერთმა ქართველმა ძალოსანმა რამდენჯერმე სწორედ კახი კახიაშვილის ფინანსური დახმარებით შესძლო უცხოეთში საასპარეზოდ გამგზავრება. გარდა ამისა, კახიმ, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, ფედერაციასაც გაუწია ფინანსური დახმარება; და რაც მთავარია, მან თავის მეგობარ ქართველ ძალოსნებს — ალექო ნოზაძეს, გია ასანიძესა და გოგიტა კობალაძეს ყოველთვიური სტიპენდიები თუ ხელფასები დაუნიშნა. იშვიათი შემთხვევაა, თუ ერთადერთი არა, — მოქმედი სპორტსმენი თავის პოტენციური მეტოქეების სპონსორი იყოს!

\* \* \*

საქართველოს არაერთი სახელოვანი ძალოსანი ჰყოლია. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ ვანო გრიჭუროვის მონაფეებს — კახი კახიაშვილს და გიორგი ასანიძეს.


კახი კახიაშვილი — სამი ოლიმპიური ოქრო, სამი მსოფლიო ოქრო, ორი მსოფლიო ვერცხლი, ოთხი ევროპული ოქრო, თითო ევროპული ვერცხლი და ბრინჯაო, ევროპის თანამეგობრობის სამი ოქრო, ევროპის სუპერთასი, საბჭოთა კავშირის თასი, ესენგეს ჩემპიონატის ოქრო, შვიდი მსოფლიო რეკორდი...

გიორგი ასანიძე — ოლიმპიური ოქრო, ოლიმპიური ბრინჯაო, მსოფლიო ოქრო, მსოფლიო ვერცხლი, ევროპის სამი ოქრო, ერთი ვერცხლი, მსოფლიოს ახალგაზრდული ოქრო, ორი მსოფლიო რეკორდი...

როცა ოლიმპიური ათენში დათო კაკაბაძემ ინტერვიუ ჩამოართვა ვანო გრიჭუროვს, მან ასე დაახასიათა თავისი მონაფეები:

— კახი კახიაშვილს მე ვხედავ, როგორც ცხენზე ამხედრებულ მეომარს, რომელიც ძალიან დინჯია, რომელსაც ქარქაშში აქვს ჩაგებული ხმალი და ნელა მიუყვება გზას. როდესაც იმ ადგილს მიუახლოვდება, სადაც შეჯიბრება იწყება, ხმალს იშიშვლებს, გაქანდება, გაიმარჯვებს, იმსაათშივე ქარქაშში ჩააგებს

კახი კახიაშვილი  
 მსოფლიო ჩემპიონის  
 მეორე ოქროს მედალი  
 1998 წელს ლახტიში  
 (ფინეთი) მოიპოვა



ხმალს ისევ შეანელებინებს ცხენს ნაბიჯს და მომავალ შეჯიბრებამდე ასე მშვიდი იქნება. ეს არის ფლეგმატიკი, რომელიც საჭიროებისთანავე ქოლერიკი ხდება. გიორგი ასანიძე კარდინალურად სხვა ადამიანია. ეს იმ მხედარს ჰგავს, რომელიც გამუდმებით მიაჭენებს ცხენს და რომელიც მუდმივად ატრიალებს და აპრიალებს მზეზე მუდმივად გაშიშვლებულ ხმალს და მუდმივად ბრძოლაშია...

თუ 1972 წლის შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე არც ერთი ქართველი ძალოსანი არ გამოსულა, 1992 წლის შემდეგ, როცა კახი კახიაშვილი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, არ ყოფილა ოლიმპიადა, რომ ქართველ ძალოსნებს არ ეასპარეზოთ: ატლანტაში ბიძინა მიქიაშვილი მე-9 ადგილი დაიკავა; სიდნეიში გიორგი ასანიძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ვალერიან სარავა კი მე-17 იყო; ათენში გიორგი ასანიძემ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს პიროს დიმასს აჯობა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ხოლო გრიქუროვის კიდევ ერთი მონაფე არსენ კასაბიევი მე-14 ადგილზე გავიდა. ოთხი წლის შემდეგ, 2008-ში კასაბიევი ოლიმპიურ ჩემპიონობაზეც განაცხადებს პრეტენზიას, მაგრამ ის ბოლო, საჩემპიონო ცდა გაუცუდდება და საერთოდ უმედლოდ დარჩება, თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული ძალოსნობის აღმასვლა ჯერ არ დამთავრებულია.

\* \* \*

კახი კახიაშვილი საბერძნეთში პირველად 1988 წელს აღმოჩნდა. მაშინ იგი 19 წლისა იყო და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავდა. ძალიან უნდოდა, ათენში ღირსეული შედეგი ეჩვენებინა და...

— საკმაოდ ცუდად გამოვედი. მახსოვს, ძალიან გულდანწყვეტილი ვიყავი. მას მერე დიდხანს ვოცნებობდი, რომ ოლიმპიადების სამშობლოში გამარჯვება მეზეიმა. ეს მთელი 6 თუ 7 წლის შემდეგ შევძელი, როცა უკვე ოლიმპიური ჩემპიონი ვიყავი...

არ იკითხავთ, რას გულისხმობს კახი, როცა ამბობს, „საკმაოდ ცუდად“ გამოვედიო?

რას გულისხმობს და იმას, რომ ერთ მოძრაობაში — აკვრაში — ხელი მოეცარა და მხოლოდ ატაცში შეძლო გამარჯვების მოპოვება!

ამ სიტყვებში კარგად ჩანს სრულიად ახალგაზრდა სპორტსმენის ჯანსაღი სპორტული ამბიციის, ჩანს მისი მაქსიმალიზმი (ან ყველაფერი, ან არაფერი!), ჩანს მისი დამოკიდებულება ოლიმპიადების სამშობლოსადმი.

პირველი გამარჯვება ოლიმპიადების სამშობლოს სახელით კახი კახიაშვილმა 1994 წელს მოიპოვა, როცა ისტანბულში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა.

მაშინ ჯერ კიდევ ვერავინ იფიქრებდა, რომ საბერძნეთი ასეთი წარმატებებს მოიპოვებდა ძალოსნობაში და სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი ლიდერი გახდებოდა მსოფლიოში.

საბერძნეთმა ეს ლეგიონერების დახმარებით შეძლო: ქართველი კახი კახიაშვილი; ალბანელები პიროს დიმასი, ლეონიდას საბანიისი, ვიკტორ მიტრუ და გიორგოს ცელილისი; რუსი ვალერიოს ლეონიდისი...

მათ ყველას ერთად ოლიმპიადებზე ხუთი ოქროს, ხუთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი აქვთ მოპოვებული.

მაშინ კი, როცა კახიმ საბერძნეთის დროშას შეაფარა თავი, ამ ქვეყანას ძალოსნობაში ორადორი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავდა — პერიკლეს კაკუზისი და პიროს დიმასი. პირველმა ოლიმპიურ გამარჯვება 1896 წელს იზეიმა ათენში, მეორემ — თითქმის მთელი საუკუნის შემდეგ ბარსელონაში. ამას გარდა ბერძენ ძალოსნებს კიდევ ორი ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი ჰქონდათ მოპოვებული 1896 წელს.

ეს იყო და ეს.

და აი, საბერძნეთის ძალოსნობის ფედერაციის მიზანმიმართული და აგრესიული სასელექციო პოლიტიკის შედეგად ეს ქვეყანა მოდის კანონმდებლად იქცა ძალოსნობაში. ხოლო თავად ძალოსნობა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა, საყოველთაო სიამაყისა და სიყვარულის საგანი გახდა საბერძნეთში.

საბერძნეთის ძალოსანთა ეროვნული გუნდი ნამდვილი „დრიმტიმი“ — „ოცნების გუნდი“ იყო, რომლის შექმნა გუნდის მთავარი მწვრთნელის ქრისტოს იაკოვუს სახელთან არის დაკავშირებული. სწორედ მან შეკრიბა წარმოშობით ან შორეული ფესვებით საბერძნეთთან დაკავშირებული უკვე ჩამოყალიბებული თუ პერსპექტიული ძალოსნები და ერთიან გუნდად ჩამოაყალიბა.

აი, ისინიც, საბერძნეთის „ოცნების გუნდის“ წევრები მათ მიერ ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში მოპოვებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მითითებით:

- პიროს დიმას (6-1-1),
- კახი კახიაშვილი (3-1-0),
- ლეონიდას საბანის (2-3-0),
- ვალერიოს ლეონიდის (0-3-1),
- ვიკტორ მიტრუ (0-2-1),
- ლეონიდას კოკას (0-1-2),
- გეორგიოს ცელილის (0-2-1),
- პავლოს სალციდის (0-0-1).

ამათგან, ზემოთ უკვე ითქვა, ოთხი წარმოშობით ალბანელია, ერთი ქართველი, ერთი რუსი და მხოლოდ ორნი — კოკასი და სალციდისი არიან დაბადებული საბერძნეთში.

თუ ამავე პერიოდის თურქეთის ძალოსანთა გუნდის ძლიერებას ორი ბულგარელი სპორტსმენი ჰალილ მუტლუ (ჰუბენ ჰუბენოვი) და ნაიმ სულეიმანოღლუ (ნაიმ სულეიმანოვი) ქმნიდა, საბერძნეთის „ოცნების გუნდი“ ძირითად ალბანელი პიროს დიმასისა და ქართველი კახი კახიაშვილის მხრებზე იდგა.

სხვათა შორის, დიმასი, კახიაშვილი, მუტლუ და სულეიმანოღლუ ოთხადოთხი ძალოსანია მსოფლიოში, რომელთაც 3-3 ოლიმპიური ოქროს მედალი აქვთ.



კახი კახიაშვილი სიცილით იხსენებს ერთ შემთხვევას, როცა ეს ოთხნი და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ კურლოვიჩი ერთ მანქანაში ჩამსხდარან და რომელიღაცას დაუთვლია, რომ ხუთ კაცს 14 ოლიმპიური ოქროს მედალი ჰქონდა!

საბერძნეთის „ოცნების გუნდისა“ და მისი შემოქმედის ქრისტოს იაკოვუს წყალობით არის, რომ ძალოსნობა 15 ოლიმპიური მედლით საბერძნეთისათვის ყველაზე უხვმედლიანი ოლიმპიური სახეობა გახდა სპორტის მთელი ისტორიის მანძილზე მძლეოსნობის შემდეგ, თუმცა ოქროს მედლების რაოდენობა ორივე ამ სახეობაში ერთნაირია — ექვს-ექვსი.

თავად იაკოვუც საბერძნეთის საზღვრებს გარეთ — ისტანბულში დაიბადა. 16 წლისა იყო, როცა მშობლებთან ერთად საბერძნეთში გადავიდა საცხოვ-

*კახი კახიაშვილი  
და გიორგი ასანიძე*

სიდნეის ოლიმპიურ  
თამაშებზე კახია  
შვილი 220 კგ  
აკრა, ორჭიდაში 405 კგ  
მოაგროვა და მესამე  
ოლიმპიურ ოქროს  
დაეუფლა



რებლად. ერთი წლის შემდეგ იგი საბერძნეთის ჩემპიონი გახდა ძალოსნობაში — 75 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა და ორჭიდის ჯამში 296 კგ დააგროვა. ამის შემდეგ მთელი 10 წლის განმავლობაში იგი საბერძნეთის ძალოსანთა გუნდის ლიდერი იყო, თუმცა ამ გუნდს საერთაშორისო არენაზე თავი არაფრით გამოუჩენია. მათი საუკეთესო შედეგი გუნდის ლიდერის, იაკოვუს მე-5 ადგილი იყო მიუნხენში, სადაც მან საშუალოწონოსანთა ოლიმპიურ ტურნირში 490 კგ დააგროვა. ეს ბოლო ოლიმპიადა გახლდათ, სადაც ძალოსნობაში გამარჯვებული სამი მოძრაობის ჯამით ვლინდებოდა. იაკოვუ ყველაზე ძლიერი სწორედ შემდგომში გაუქმებულ იმ მოძრაობაში იყო — აჭიმვაში მან სულ ორნახევარი კილოგრამი დაუთმო ოლიმპიურ ჩემპიონს და ამ მოძრაობაში 170 კილოგრამით მეორე ადგილი დაიკავა. მიუნხენის გარდა ქრისტოს იაკოვუ კიდევ ორ ოლიმპიადაში მონაწილეობდა — მეხიკოსა და მონრეალში. 1979 წელს თესალონიკეში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი უკანასკნელი ასპარეზობა იყო იაკოვუსათვის. ამის შემდეგ იგი მეულლესთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მაიამის პოლიციის გუნდს ავარჯიშებდა ძალოსნობაში და ბიზნესში ცდიდა თავის თავს. ათწლიანი ამერიკული თავგადასავლების შემდეგ კი, 1988-ში იგი კვლავ საბერძნეთში დაბრუნდა უკეთესის იმედითა და მოლოდინით აღსავსე.



— მთელი ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე მშურდა საბჭოელებისა და ბულგარელებისა, რომლებსაც საოცარი გუნდები ჰყავდათ ძალოსნობაში. ვოცნებობდი, რომ ოდესმე მეც შემიქმნა ასეთ გუნდი, — ამბობდა იგი უკვე მაშინ, როცა თავისი ის ოცნება სინამდვილედ აქცია, — ამის შესაძლებლობა მომეცა თუ არა, სხვაზე აღარაფერზე მიფიქრია, ყველაფერი ამ გუნდის ჩამოყალიბებას მოვახმარე.

იაკოვუს ჰქონდა ძალოსნობის განვითარების თავისი ხედვა, რომელიც ხშირად პრინციპულად განსხვავდებოდა ტრადიციულისაგან და რომლის ზოგიერთ მომენტს ბევრი არ იზიარებდა. სპეციალისტებში და თავად სპორტსმენებშიც, მაგალითად, გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია მისმა გადაწყვეტილებამ, ატლანტაში წარმატებული გამოსვლის შემდეგ გუნდს 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გამოეტოვებინა. არადა, საბერძნეთის ძალოსანთა დიდი გუნდი იმ მსოფლიო ჩემპიონატის წინ მთავარ ფავორიტად განიხილებოდა.

ძალოსნობის განვითარებისა და ძლიერი გუნდის საკუთარი კონცეფცია ქრისტოს იაკოვუმ საბერძნეთში დაბრუნებისთანავე ჩამოაყალიბა. საბერძნეთის ძალოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ მოინონა ეს იდეა და საქმე სწრაფად წავიდა წინ. ეროვნული ნაკრების გაძლიერების მიზნით, უცხოელი ათლეტების მონვევა ახალი იდეა არ იყო, მაგრამ არასოდეს მას ისეთი შედეგი არ მოუტანია, როგორც იაკოვუს „ოცნების გუნდის“ შემთხვევაში.

გუნდის შენება პიროს დიმასის მონვევით დაიწყო. იგი ჯერ კიდევ ბარსელონაში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი საბერძნეთის სახელით. მეორე დიდი შენაძენი საბერძნეთის გუნდისთვის კახიაშვილი გახლდათ. ასე რომ, ატლანტაში იაკოვუ ორი ოლიმპიური ჩემპიონით გაემგზავრა და იქიდან ყველა სხვა ქვეყანაზე მეტი ნადავლით — ორი ოლიმპიური ოქროთი და სამი ვერცხლით დაბრუნდა.

\* \* \*

სწორედ იმ დღეს, როცა მე და ჩემი ცოლ-შვილი კახისთან ერთად ათენს წმინდა გიორგის მთიდან დავყურებდით, საბერძნეთმა ოფიციალურად გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება, 2000 წლიდან 2004 წლამდე ათენში ჩატარდეს მრავალმხრივ ღონისძიებათა ციკლი „კულტურული ოლიმპიადის“ სახელ-

წოდებითა და ეგიდით. მე უკვე ვიცოდი, რომ ამ პროგრამაში საქართველოც აპირებდა მონაწილეობის მიღებას, უპირველეს ყოვლისა, ათენის ქართული ინსტიტუტის სახით. ვიცოდი ისიც, რომ ამ ინსტიტუტის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, საბერძნეთში მოღვაწე ცნობილ ქართველ მეცნიერს, ავთანდილ მიქაბერიძეს კახი კახიაშვილი ათენის ქართული ინსტიტუტის მეგობართა რიცხვში ეგულება. კახიმ დამიდასტურა ეს და ერთგვარი სიამაყით მითხრა, რომ მზად არის, შეენიოს ყველა სასიკეთო საქმეს, რომელიც საქართველოს სახელთან და მის პრესტიჟთან იქნება დაკავშირებული.

მართლაც, თბილისში დაბრუნებულმა რამდენიმე თანამოსაგრესთან ერთად კულტურული ოლიმპიადის საქართველოს ეროვნული კომიტეტი დავაფუძნეთ და კახი კახიაშვილი მისი პრეზიდენტის დამფუძნებელი წევრი გახდა.

იმ დღეს კი, ათენში, გამომშვიდობებისას კახის ვთხოვე, მის ოჯახზე ეთქვა ორიოდ სიტყვა.

— საკუთარი ოჯახი ჯერ არ შემიქმნია. ისე, გული უფრო ქართველისკენ მიმიწევს. ჩემი შვილის დედაენა ქართული იქნება, ქართულად აიდგამს ენას, თუმცა ორივე ენას ერთნაირად შევასწავლი. არ ვიცი, შეიძლება ჩემი მომავალი მეუღლე საქართველოში ცხოვრობს, შეიძლება — საბერძნეთში, შეიძლება მე მას უკვე ვიცნობ, შეიძლება — ჯერ არა. ასეთი ამბების პროგნოზირება ძნელია... ცოლ-ქმრობა ზეცაში იგეგმება... წელიწადი არ გავა, რომ საქართველოში არ ჩავიდე. მე იქ უამრავი ახლობელი, ნათესავი და მეგობარი მყავს.

მერე კახიმ სამახსოვრო ავტოგრაფებით დაამშვენა მისი გამოსახულებიანი ბერძნული სატელეფონო ბარათები; მე კი საქართველოს საფოსტო მარკების ერთი გამოშვება გადავეცი საჩუქრად — ეს გახლავთ ჩემს მიერ გია ბულაძესთან ერთად შექმნილი ოლიმპიური სერია, რომლის ერთ-ერთ მარკაზე სხვებთან ერთად კახი კახიაშვილის სახელიც წერია. კახიმ პირველად ნახა ეს მარკა და დიდადაც გაიხარა, მე ვფიქრობ, უფრო იმიტომ, რომ მარკა საქართველოსი იყო, თორემ მას მსგავსი ამბებით ველარ გააკვირვებ: სხვაც რომ არაფერი, მისი სახელი ამოკვეთილია მარმარილოს სტელაზე ათენის ანტიკურ სტადიონზე, სადაც თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადა გაიმართა 1896 წელს. სხვათა შორის, სწორედ ამ სტელის

გახსნის დროს ითქვა ის სიტყვები — „დიმასი და მისი გუნდი“, რამაც ბევრ რამეზე დააფიქრა კახი კახიაშვილი.

— საბერძნეთში ჩამოსვლამდე ფიცარნაგისა და შტანგის გარდა არაფერზე ვფიქრობდი, რადგან სხვა ყველაფერი მწვრთნელის საზრუნავი იყო. ახლა კი ყველაფერი თავად უნდა გავთვალო: ურთიერთდამოკიდებულება მტერთან და მოყვარესთან, ჟურნალისტებთან, სპორტის ხელმძღვანელებთან... თვითონ უნდა განვსაზღვრო ჩემი პოლიტიკაც, სტრატეგიაც და ტაქტიკაც. პრესასთან ურთიერთობისას უკვე რამდენჯერმე წავიმტვრიე ცხვირი; მათ შორის — ქართველ ჟურნალისტებთანაც: ხანდახან ისეთ რამეს „გათქმევინებენ“, გითქვამს კი არა, არც გიფიქრია. ახლა ჭკუა მაქვს ნასწავლი. ამ ცოტა ხნის წინათ საბერძნეთის პრესაში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, რომელშიც სპორტის სამინისტროს ვაკრიტიკებდი და რომელსაც ჟურნალისტებმა „ბომბის აფეთქება“ უწოდეს. იმ ინტერვიუში ყველა ფრაზა და სიტყვა მისხლობით მქონდა აწონილი.

ერთი მხრივ, პარადოქსია, რომ კახი კახიაშვილი — ძალოსნობის ცოცხალი ლეგენდა, რომელიც ორცენტნერიან შტანგებს ეჭიდება, მისხლობით აწონვაზე ლაპარაკობს, მაგრამ, მეორე მხრივ, მე თავად შემძლია დავადასტურო, როგორ იცის მან სიტყვის აწონვა, თითოეული სიტყვის ფასი. როდესაც მის შესახებ დაწერილი ჩემი ერთი წერილი წავაკითხე გამოქვეყნებამდე, ისეთი ნიუანსები შენიშნა, ისე ზუსტად შემაცვლევინა რამდენიმე ფრაზა, გამოცდილ რედაქტორს გაუჭირდებოდა. მერე ის იყო, ვეხუმრე, თუ ოდესმე საბერძნეთის მთავრობის მიერ ბოძებული მუდმივი სამუშაო დაკარგე, ქართულ სპორტულ პრესაში რედაქტორის ადგილს ადვილად იშოვნო-მეთქი.

ათენში შეხვედრისას კახიმ თავისი სახელობითი მაისური მაჩუქა, რომელსაც უკან მისი გვარი ეწერა, წინ კი — ხუთი ოლიმპიური რგოლის ქვემოთ — სამი ოლიმპიური წელი იყო მითითებული: 1992, 1996 და 2000. ბარსელონასა და ატლანტაში მაშინ მას უკვე მოეპოვებინა ოლიმპიური ოქროს მედლები, სიდნეი კი ჯერ წინ იყო...

ის მაისური სათუთად მქონდა შენახული სხვა ოლიმპიურ რელიქვიებთან ერთად, მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ არამშვენიერ დღეს, როცა ჩემი ბინა გატეხეს და ძვირფასი ნივთები წაიღეს, ქურდებმა ეს მაისურიც გააყოლეს ხელს.

ვერაფერს იტყვი: სპორტის გულშემატკივრები ყოფილან და კახი კახიაშვილის სახელობითი მაისურის ფასიც კარგად სცოდნიათ...

\* \* \*

სიდნეიში „დილის გაზეთის“ კორესპონდენტად წასულმა თან 37 სპორტსმენის დოსიე წავიღე. 36 სპორტსმენი საქართველოს სახელით უნდა გამოსულიყო სიდნეიში, ის 37-ე დოსიე კი კახი კახიაშვილისა იყო, რომელსაც უკვე მეორედ საბერძნეთის ღირსება უნდა დაეცვა ოლიმპიურ თამაშებზე.

დღეს, როცა კახიაშვილის ოლიმპიურმა გამარჯვებებმა მისი ყველა სხვა გამარჯვება და სპორტული ბიოგრაფიის ყველა სხვა მომენტი დაჩრდილა, მაინც საინტერესოა, კიდევ ერთხელ გადავხედოთ იმ დოსიეს:

კახი კახიაშვილი დაიბადა 1969 წლის 13 ივლისს ცხინვალში.

1975-1986 წლებში სწავლობდა ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლაში.

1982 წლიდან ვარჯიშობს ძალოსნობაში.

1983 წელს გაიმარჯვა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე სოხუმში.

1986 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხინვალის ფილიალის პირველი კურსის სტუდენტად.

1987 გახდა საქართველოს ჩემპიონი, შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში და გაიმარჯვა გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც 90 კგ წონით კატეგორიაში გამოვიდა, თუმცა 86 კილოგრამს იწონიდა.

1988 წელს პირველად მოხვდა საბერძნეთში, თავის მეორე სამშობლოში და თუმცა მცირე, მაგრამ თავისი პირველი ოქროს მედალი მოიპოვა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ათენში გაიმართა: იგი პირველი იყო ატაცში 86 კგ წონით კატეგორიაში, აკვრაში კი ნულოვანი შეფასება დაიმსახურა.

1989 წელს გაიმარჯვა ამერიკის ქალაქ ფორტ-ლაუდერდეილში გამართულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა, თანაც სწორედ აკვრაში, სადაც წინა ჩემპიონატზე ნულოვანი შეფასება მიიღო; სამარყანდში მოიგო საბჭოთა კავშირის თასი (177+225) და ასპარეზობის საუკეთესო სპორტსმენადაც დაასახელეს.

1990 წელს თბილისში მოიგო „მეგობრობის თასი“ (180+222,5).

1991 წელს „მეგობრობის თასი“ მოიგო ხარკოვში (177,5+227,5).

1992 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბარსელონაში გაერთიანებული გუნდის (საქართველოს) სახელით; გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატზე უნგრეთ-



სამგზის ოლიმპიური  
ჩემპიონები —  
კახი კახიაშვილი,  
ნაიმ სულეიმანოღლუ  
და პიროს დიშასი

ში (177,5+225) და აკვრაში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა; მოიგო პეკინში გათამაშებული მსოფლიო თასი და წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო ძალოსნადაც აღიარეს მსოფლიოში.

1993 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა ბულგარეთში (180+222,5); ზუსტად ასეთივე შედეგით ვეცხლის მედალი მოიპოვა მელბურნში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც გამარჯვება ბულგარელ ივან ჩიკიროვს ხვდა წილად (182,5+222,5); მე-2 ადგილი დაიკავა ჩეხეთში, კარლოვივარში გამართულ ევროპის ჩემპიონატზეც (182,5+220), სადაც პირველობა რუსეთის (მოგვიანებით — ნორვეგიის) წარმომადგენელმა ალექსანდრ პეტროვმა მოიპოვა (185+227,5).

1994 წელს საბერძნეთის სახელით გამოვიდა ისტანბულში გამართულ მსოფლიო პირველობაზე და მეორე ადგილი დაიკავა (177,5+222,5) ალექსანდრ პეტროვის (182,5+225) შემდეგ; მე-2 ადგილი დაიკავა მსოფლიო თასის გათამაშებაშიც სიდნეიში, სადაც პირველი ალექსანდრ კურლოვიჩი იყო.

1995 წელს პოლონეთში გაიმეორა მსოფლიო რეკორდი აკვრაში (227,5) და ევროპის ჩემპიონი გახდა ორჭიდში (182,5+227,5); პირველი ადგილი დაიკავა ევროკავშირის ქვეყნების პირველობაზე, რომელიც ლაიფციგში გაიმართა; მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გუანჯოუში (185+228) სხვათა შორის ამ ჩემპიონატზე კახიმ „ტრადიციული სტილით“ — ნაკლები საკუთარი წონის წყალობით აჯობა სირცოვს.

1996 წელს პირველი ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატზე დანიაში (175—215); მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი ატლანტაში (185+235), სადაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში და ოლიმპიური რეკორდები ატაცსა (185) და ორჭიდში (420).

1997 წელს მოიგო ხმელთაშუაზღვის თამაშები იტალიის ქალაქ ბარიში (172,5+215).

1998 წელს მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი ლაჰტიში; გერმანიაში გამართულ ევროპის პირველობაზე მე-2 ადგილი დაიკავა აკვრაში (210) და მე-3 ატაცში (172,5).

1999 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა ათენში, სადაც მსოფლიო რეკორდებიც დაამყარა ორჭიდსა (412) და ატაცში (188); მე-2 ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატზე ლაკორუნიაში.

პარალელურად, ბოლო 8 წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოიგო საქართველოს, საბჭოთა კავშირის, ესენგესა თუ საბერძნეთის პირველობები და ბალკანური თამაშები.

სიდნეიში ამ დოსიეთი შეიარაღებული და მისი შევსების მოსურნე, მოუთმენლად ველოდი კახიაშვილის გამოსვლას 24 სექტემბერს. მოუთმენლად კი ველოდი, მაგრამ არ დავსწრებივარ, რადგან ჩემთვის მისი მესამედ გაჩემპიონების ამბავი წინააღმდეგობით გახდა ცნობილი!

23 სექტემბერს, როცა კახი ხვალინდელი გამოსვლისთვის ემზადებოდა, მე უკვე ვიცოდი ყველაფერი, რაც 24-ში უნდა მომხდარიყო სიდნეის ძალოსნობის დარბაზში.

კახი 31 წლისაა, ფიზიკური ძალა ისე აღარ ერჩის, რკინასთან მრავალწლიან ჭიდილსაც თავისი კვალი დაუტოვებია ხერხემალზე, ტრავმებიც ხშირად ახსენებს თავს... ძველ ტრავმებს ახალიც დამატებია.

— ოლიმპიადამდე ორი კვირით ადრე 200 კილოგრამის ატაცება ვცადე და ფეხის კუნთის ნაწილი დავიზიანე. უკვე სიდნეიში 225 კილოგრამზე ტრავმა გამიუარესდა, ტკივილმაც იმატა, მაგრამ მეტოქეებისთვის ჩემი პრობლემა არ უნდა მეჩვენებინა და არაფერი შემიმჩნევია. მეორე დღეს ექიმმა კუნთის ორსანტიმეტრიანი გახევა დამიდგინა, რაც სერიოზული ტრავმაა. საერთოდ, სიდნეის თამაშები საჩუკრად იყო სპორტსმენთა ტრავმების რაოდენობით, დღე არ გავიდოდა, რომ სამი-ოთხი ძალოსანი საავადმყოფოში არ აღმოჩენილიყო. ჩემი აზრით, ამის მთავარი მიზეზი კლიმატური პირობები იყო. ავსტრალიაში ზაფხული ზამთარია, სექტემბერი — მარტი და ოლიმპიადა ფაქტიურად ზაფხულში კი არა, ადრეულ ზაფხულზე ჩატარდა. სიდნეიში საკმაოდ ციოდა, დღეში სამჯერ იცვლებოდა ამინდი...

ასე რომ, თავის მესამე ოლიმპიადაზე ტრავმებით განვალბებულმა კახიმ ევროპელთათვის უჩვეულო კლიმატურ პირობებში თავის ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე მეტოქეებს არა ძალით, არამედ ჭკუითა და ეშმაკობით უნდა აჯობოს.

გულზე ისევ ის ვერცხლის ჯვარი ჰკიდია, საბერძნეთში ახალჩასულმა წმინდა გიორგის ეკლესიაში რომ იყიდა და მას შემდეგ განუყრელად თან რომ ატარებს. მაჯაზეც ისევ ის სკვნილი უკეთია, ერთმა პონტოელმა მღვდელმა რომ შეაბა ოდესღაც და მის თილისმად რომ ქცეულა ამდენი წლის მანძილზე.



კახიმ ჯერ არ იცის, რომ პირველი მოძრაობის შემდეგ ის გალიდერდება და ვანო გრიჭუროვის პოლონელ შეგირდზე, 18 წლის შიმონ კოლეცკიზე 2,5 კილოგრამით აღმოჩნდება წინ. მის სასარგებლოდ იქნება მცირე სხვაობაც პირად წონებში.

კახიმ ჯერ არც ის იცის, რომ აკვრას იგი საკმაოდ დაბალი — 220 კილოგრამით დაიწყებს. კოლეცკი 222,5-ით უპასუხებს და მოთმინებით დაელოდება მის შემდგომ სვლას. კახიაშვილი ცდას გამოტოვებს და კოლეცკი, რომელსაც ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი აკვრაში — 232,5 კგ — 227,5 კილოგრამს შეუკვეთავს.

მე 23 სექტემბერსვე, ანუ წინაღუდს უკვე ვიცი, მაგრამ არც კახიმ და არც კოლეცკიმ ჯერ არ იციან, რომ პოლონელი ძალოსანი ამ წონას ვერ დაძლევეს და იმ 222-ნახევრის ამარა დარჩება.

კახიაშვილს კი შტანგასთან მეორედ მისვლაც აღარ დასჭირდება, ისე გახდება მესამედ ოლიმპიური ჩემპიონი!

ორივეს ერთნაირი წონა დაუგროვდება — 405 კილოგრამი, მაგრამ კახი (უკვე მერამდენედ მის სპორტულ კარიერაში!) მეტოქეზე მსუბუქი აღმოჩნდება!



კოლეცკის რომ კახიაშვილის ტრავმების ამბავი სცოდნოდა, 225-ს დასჯერდებოდა და ასე ადვილად არ დათმობდა ოქროს მედალს.

პირველი ოლიმპიური ოქრო კახი კახიაშვილმა 412,5 კილოგრამით მოიგო, მეორე ოქროს მედლისთვის მსოფლიო რეკორდის დამყარება დასჭირდა — 420 კგ, მესამე ოქრო კი ყველაზე „იაფი“ დაუჯდა — სულ რაღაც 405 კილოგრამი!

ნეტა თუ იცოდა ვანო გრიქუროვმა კახის ეს ეშმაკური ჩანაფიქრი?

მე ვიცოდი. 23-ში უკვე ვიცოდი. ვიცოდი კი არა, ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე. ტელეეკრანზე. პაპეიტეში. კუნძულ ტაიტიზე.

მთელი ღამე ველარ დავიძინე სიხარულისგან. თბილისშიც დავრეკე, ცოლ-შვილს შევეხმიანე, ხვალ კახიაშვილი მესამედ გახდება ოლიმპიური ჩემპიონი-მეთქი, ვახარე.

ვიცითო, მითხრეს, უკვე გახდაო!

თბილისში 24 სექტემბერი თენდებოდა.

სიდნეიში 24 სექტემბრის საღამო იდგა.

პაპეიტეში კი, დროის ხაზის მეორე მხარეს, ჯერ ისევ 23 სექტემბერი იყო.

24 სექტემბერს სიდნეიში ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მე ვნახე 23 სექტემბერს პაპეიტეში.

მანამდე ერთი დღით ადრე, ზუსტად ასე, წინსწრებით დამწყდა გული გიორგი ასანიძის ბრინჯაოს მედლის გამო.

სამმა ძალოსანმა ორჭიდის ჯამში ზუსტად ერთნაირი შედეგი აჩვენა — 390 კილოგრამი. პირველი და მეორე ადგილები აქაც, ზუსტად ისე, როგორც ატლანტაში პიროს დიმასმა და მარკ ჰუსტერმა დაიკავეს. მე-3 ადგილი კი გიორგი ასანიძეს დარჩა, რომელიც ორივეზე მძიმე აღმოჩნდა. ისე, პარადოქსია, დამშეული საქართველოს სპორტსმენმა მეტი წონის გამო დაკარგა ოქროს მედალი მძღღარი გერმანიისა და გვარიანად დანაყრებული საბერძნეთის სპორტსმენებთან დაპირისპირებაში!

ასეა თუ ისე, გიორგი ასანიძის ბრინჯაოს მედალი მაინც წარმატება გახლდათ საქართველოსთვის. მის ამ წარმატებაში კი კახი კახიაშვილის წვლილიც იყო, რომელიც 1998 წლიდან მეურვეობდა თავის უმცროს მეგობარს.

გიორგი ასანიძე ოთხი წლის შემდეგ ათენში სრულად გაამართლებს იმ ამავს, რაც მასზე კახი კახიაშვილსა თუ ვანო გრიქუროვს ჰქონდათ. საუცხოო ფიზიკურ მომზადებასთან ერთად იგი დიდ სულიერ სიმტკიცესაც გა-

მოიჩენს, ტაქტიკური აზროვნების უნარსაც და ოლიმპიური ჩემპიონი გახდება.

სამწუხაროდ, იმ ოლიმპიადაზე, მისთვის უკვე მშობლიურ ათენში 35 წლის კახი კახიაშვილი მეოთხედ ველარ ავა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე, ყველა ცდა გაუტყუდდება, მაგრამ ამის მიუხედავად, გულშემატკივარი მას მხურვალე ოვაციით გააცილებს ფიცარნაგიდან.

ცხინვალში დაწყებული დიდი სპორტული კარიერა მეოთხედი საუკუნის შემდეგ ოლიმპიურ ათენში დასრულდა.

კახი კახიაშვილის სახელი სამუდამოდ ჩაინერა საქართველოს სპორტის ისტორიაში.

კახი კახიაშვილის სახელი სამუდამოდ ჩაინერა საბერძნეთის სპორტის ისტორიაში.

კახი კახიაშვილის სახელი სამუდამოდ ჩაინერა მსოფლიო სპორტის ისტორიაში.

\* \* \*

ქართველმა ჟურნალისტებმა კახი კახიაშვილი ორჯერ — 1992 და 1993 წლებში — დაასახელეს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად.

ბერძენმა ჟურნალისტებმა კახი კახიაშვილი ორჯერ — 1996 და 1999 წლებში — დაასახელეს საბერძნეთის საუკეთესო სპორტსმენად.

ათენში ოლიმპიადის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერს, საბერძნეთის პრეზიდენტისა და პარლამენტის 2-2 ოქროს მედლის ლაურეატს, საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერს კახი კახიაშვილს საქართველოს მოქალაქეობა აღუდგინა.

— ჩვენს გვერდით არის სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი, რომელიც ქვეყნიდან იმიტომ კი არ წავიდა, რომ სამშობლო არ უყვარს, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს არ სჭირდებოდა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა თავის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში 2005 წლის 10 თებერვალს, — მინდა გამოვაცხადო, რომ საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით, მე-12 მუხლის საფუძველზე, კახი კახიაშვილს, ამჟამად



დალი, თამაზი და  
კახი კანიაშვილები

საბერძნეთის მოქალაქეს, საქართველოს მოქალაქეობას ვუბრუნებ და ამას აქვე ვაწერ ხელს. ქართული პასპორტი მას აქვე გადაეცემა.

დარბაზში ისეთი ოვაცია გაიმართა, თითქოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარაო.

\* \* \*

ოლიმპიადის დღეებში ათენში ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი არაერთი ძვირფასი გამოცემა იყიდებოდა. მათ შორის ერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი გარეგნული სახითაც და იმითიც, რომ ეს იყო ერთადერთი გამოცემა ზღვა ალბომებში, რომელიც ერთ პიროვნებას, ერთ სპორტსმენს, ერთ ჩემპიონს ეძღვნებოდა.

ორ ტომად გამოცემული კახი კახიაშვილისადმი მიძღვნილი ეს დიდებული ფოტოალბომი ელენი ათანასიუს მოუმზადებია გამოსაცემად.

კარგად ვიცნობ სპორტისა და ოლიმპიური თამაშების შესახებ არსებულ თითქმის მთელ ლიტერატურას, რომელიც კი დღემდე გამოცემულა მსოფლიოში და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს ორტომეული ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ტიპის ალბომებს შორის. ზემოთ უკვე ვახსენე კახი კახიაშვილისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი შესანიშნავი ალბომი, რომელიც ამ ორტომეულამდე ორი წლით ადრე გამოიცა ათენში. დღეს ჩემს ბიბლიოთეკას ორივე ეს გამოცემა ამშვენებს კახი კახიაშვილის სამახსოვრო წარწერებით და მე ისლა დამრჩენია მკითხველს ზოგიერთი ამონარიდი შევთავაზო ამ ალბომებიდან:

ჟაკ როგჰე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი: „ყველა ქვეყანას ჰყავს გმირები. საქართველოსთვის და საბერძნეთისთვის ერთ-ერთი მათგანია კახი კახიაშვილი. ბარსელონაში, ატლანტასა და სიდნეიში სამი ოლიმპიური ოქროს მომგები ქართველი ძალოსანი გამოჩენილი და მომავალი თაობებისათვის სამაგალითო ათლეტია“.

იანა ანგელოპულოს-დეესკალაკი, ათენი-2004-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე: „კახი კახიაშვილი მაგალითს აძლევს არა მარტო ჩვენს სპორტსმენებს და ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას, არამედ ყველა ბერძენს, ვინც ყოველდღიურად შრომობს და იღვწის, რათა ჩვენმა ქვეყანამ წარმატებით გაართვას თავი ოლიმპიადის ჩატარებას“.

ქრისტოდულოს, ათენის მთავარეპისკოპოსი: „სხვა ყველაფერთან ერთად მე უნდა აღვნიშნო შენი ცხოვრების ორი ასპექტი, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. პირველი — ეს არის შენი სიყვარული ღმერთისადმი და მონივნება ეკლესიის მიმართ. შენი ბავშვობისას ეკლესიას ძნელბედობის ჟამი ედგა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად შენ შეინარჩუნე რწმენის ალი შენს სულში. დალოცვილი იყავ! მეორე — ეს არის შენი სიყვარული შენი ქვეყნისადმი, საქართველოსადმი, და ახალი სამშობლოსადმი, საბერძნეთისადმი, რომელთაც ერთნაირი რელიგია აქვთ და ერთნაირი სული უდგათ. შენი გრძნობები ორივე მათგანის მიმართ წმინდაა, წრფელი და უშურველი და არაერთ მრავალმნიშვნელოვან გაკვეთილს შეიცავს შენი წიგნის მკითხველისათვის“.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი: „შენი ჭეშმარიტი ტრიუმფები დიდ სიხარულს გვანიჭებს. შენ ახლა საბერძნეთის დროშით გამოდიხარ საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ ბერძნებმა კარგად იციან, რომ საქართველოდან ხარ. ამდენად, შენს მიერ მოხვეჭილი ოლიმპიური მედლები (ერთი საქართველოს სახელით და ორი საბერძნეთის სახელით) ემსახურება ურთიერთობის გაღრმავებას ორ ქვეყანას შორის, რომელთაც საზიარო რელიგია აქვთ. ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა გაგაძლიეროს და მოგცეს ძალა, რომ უფრო მეტი გააკეთო ჩვენი ორი ქვეყნისათვის“.

კოსტას კარამანლის, საბერძნეთის ახალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე: „კახი კახიაშვილი ბერძენთა სიამაყეა არა მარტო თავისი უდიდესი მიღწევებით ძალოსნობაში, არამედ თავისი მაღალი ზნეობრივი სტანდარტებითაც“.

გიორგოს პაპანდრეუ, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: „კახი კახიაშვილი არა მხოლოდ დაუღალავად ემსახურება ოლიმპიურ იდეალებს, არამედ პატივს მიაგებს საბერძნეთს. ჩვენ ვაფასებთ მის ამ ძალისხმევას და პატივს მივადგებთ მას. მე მჯერა, რომ კახი სამაგალითო სპორტსმენია არა მარტო მისი სპორტული წარმატებების, არამედ თავისი ხასიათისა და იმ სულისკვეთების გამო, რომლითაც ის სპორტს აღიქვამს“.

დორა ბაკოიანის, ათენის მერი: „კახი კახიაშვილი განასახიერებს ნებისყოფასა და რწმენას, რომელიც უპირისპირდება კნინი ზრახვებისა და მდაბალი მიზნების იდეას, რასაც ბევრი ცხოვრების გზად უსახავს ჩვენს ახალგაზრდობას“.



2011 წელს  
 კახი კახიაშვილი  
 მსოფლიო ძალოსნობის  
 დიდების დარბაზის  
 წევრად აირჩიეს და  
 შესაბამისი დიპლომი  
 პარიზში, მსოფლიო  
 ჩემპიონატზე გადასცეს.  
 მარცხნიდან:  
 ავსტრალიის ძალოსნობის  
 ფედერაციის პრეზიდენტი  
 სემ კოფა, კახი კახიაშვილი  
 და ძალოსნობის  
 საერთაშორისო  
 ფედერაციის პრეზიდენტი  
 თომას აიანი

ელენი კურკულა, საბერძნეთის კულტურის მინისტრი: „შენი ძალა ზღვისას ჩამოჰგავს და შენი ნება არის კლდესავით. ჩვენი ეროვნული პოეტის დიონისოს სოლომოსის ეს სიტყვები თავის ნამდვილ შინაარსს იძენს ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონთან კახი კახიაშვილთან მიმართებაში“.

\* \* \*

2010 წელს საბერძნეთის სამაგალითო სპორტსმენი, ზღვასავით ძალისა და კლდესავით ნების პატრონი დიდი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოში დაბრუნდა და საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი ჩამოაყალიბა.

სპორტსმენის ცხოვრება დამთავრდა, მოღვაწისა ეს-ეს არის, იწყება.

კახი კახიაშვილმა გადაწყვიტა, თავისი სამსოფლიო სახელი და დიდი გამოცდილება ქართველი ახალგაზრდობის სამსახურში ჩააყენოს.

რამდენიმე წლის განმავლობაში იგი საქართველოს ყველა სოფელსა და ქალაქში 3000-მდე ობიექტის მოვლას აპირებს — სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სასაჯელაღსრულებების დაწესებულებების...

„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია!“ — ამ დევიზით ესტუმრებიან ათეულ ათასობით ბავშვსა და მოზარდს კახი კახიაშვილი და სხვა ქართველი ოლიმპიელები.

მე შესაძლებლობა მომეცა მონაწილეობა მიმედლო რამდენიმე ასეთ შეხვედრაში თბილისსა თუ მის ფარგლებს გარეთ.

ამ კეთილშობილურ საქმეში კახი კახიაშვილს მხარში უდგანან ჩვენი სახელოვანი ჩემპიონები: მზია ჯუღელი და რაფიელ ჩიმიშკიანი, რობერტ შავლაყაძე და რომან რურუა, ქეთევან ლოსაბერიძე და შოთა ხაბარელი, ნინო სალუქვაძე და გელა კეტაშვილი, გიორგი ასანიძე და გურამ სალარაძე, ნესტორ ხერგიანი და რამაზ ნოზაძე, ელისო ბედოშვილი და ომარ ბლიაძე, ამირან ტოტიკაშვილი და ზაურ ცხადაძე, სხვანი და სხვანი.

ლევან თედიაშვილი რამდენიმე დღით ჩამოვიდა ირანიდან, სადაც ახლა მწვრთნელად მუშაობს და ისიც პირველი შეხმიანებისთანავე კახის გვერდით დადგა.

პირველად რომ შეხვდნენ, შემთხვევით მეც იქ აღმოვჩნდი.

ვინ იცის, რამდენი ორი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის ორ ისეთ სპორტსმენს, რომ ერთად ხუთი ოლიმპიური ოქროს მედალი ჰქონდეთ-მეთქი, ვიხუმრე.

მაშინ იყო, კახიმ ის ამბავი რომ გაიხსენა, როცა მას, დიმასს, მუტლუს, სულეიმანოღლუსა და კურლოვიჩს, ერთ მანქანაში ჩამსხდართ, ერთად 14 ოლიმპიური ოქრო აღმოაჩნდათ.

ეს ხუთი იმ თოთხმეტზეც მეტია-მეთქი, გავიფიქრე.

თქმით კი არაფერი მითქვამს.

ოლიმპიური ოქროს მედალი დიახაც საიმედო საზომია, მაგრამ ყველაფერი ოლიმპიური ოქროთი როდი იზომება...

## კახი კახიანიშვილი

დაიბადა 1969 წლის 13 ივლისს ცხინვალში. ძალოსანი (90, 94, 99 კგ). XXV, XXVI და XXVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1995, 98, 99) და ორგზის მეორე პრიზიორი (1993, 94), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1992, 93, 95, 96), მეორე (1994) და მესამე (1998) ევროპის სუპერთასის მფლობელი (1993) და მსოფლიოს სუპერთასის გათამაშების ორგზის მეორე პრიზიორი (1992, 94). ორჯიდში დამყარებული აქვს მსოფლიო რეკორდი: 420 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996); ატაცში—ორი მსოფლიო რეკორდი: 185,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1994) და 188 კგ (94 კგ კატეგორიაში, 1999); აკვრაში — სამი: 227,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1995), 228,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1995) და 235 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996). სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. 1994 წლიდან გამოდიოდა საბერძნეთის სახელით. 2005 წელს აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა.



## KAKHI KAKHIASHVILI

Weight-lifter (90, 94, 99 kg), was born on July 13, 1969 in Tskhinvali (Georgia). He was a champion of XXV, XXVI and XXVII Olympic Games, three-time world champion (1995, 1998, 1999), twice silver medalist (1993, 1994) of the world championships, four-time champion (1992, 1993, 1995, 1996), silver (1994) and bronze (1998) medalist of European championships. He was the winner of the European Super Cup (1993) and twice silver medalist of the world super cup (1992, 1994). Kakhiaashvili held the world record in the double-event 420 kg (99 kg weight category in 1996), two world records in jerk 185,5 kg (91 kg weight category, 1994) and 188 kg (94 kg weight category, 1999); three world records in clean and jerk – 227,5 kg (91 kg weight category, 1995), 228,5 kg (91 kg weight category, 1995) and 235 kg (99 kg weight category, 1996). He is the Honored Master of Sports and is decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class. Since 1994 he has been performing on behalf of Greece. Kakhiaashvili reinstated his Georgian citizenship in 2005.